# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№88 (24.968) ხუთშაბათი, 18 - 19 აგვისტო, 2022 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 27-32, მაღალ მთაში - 20-25 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 753 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს, საღამოს და ღამის საათებში, ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით.

## კრიალოსა N იუსი

„ქართული ოცნებიდან“ გასულმა პარლამენტარებმა განცხადება გაავრცელეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასამართლო რეფორმის შესახებ პარლამენტისთვის



წარდგენილ დოკუმენტში საელჩოს ძალისხმევა სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებისა და რადიკალური ოპოზიციის გაძლიერებისკენაა მიმართული. „სუვერენულ სახელმწიფოში მოქმედი და სუვერენიტეტის მიმართ პატივისცემით გამსჭვალული საელჩო რეკომენდაციების გაცემისას მხოლოდ სამართლიანობის ასპექტით უნდა შემოიფარგლებოდეს“, - აღნიშნულია პარლამენტართა წერილში.

* * *

ბოლო დროს აშშ-ის წინააღმდეგ გაჟღერებული ბრალდებები არის უგუნური, კონსპირაციული თეორიები, რომლებიც ფაქტებს არ ეფუძნება, - განაცხადა აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა „ქართული ოცნებიდან“ წასული დეპუტატების განცხადებების კომენტირებისას. მისივე თქმით, აშშ მრავალი წელია ეხმარება საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, დასავლელი პარტნიორები კი ქვეყანაში პოლარიზაციის შემცირებას ცდილობენ.

* * *

არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად შეიმუშავებენ ომბუდსმენის კანდიდატობის ნომინირების წესს და იმ კრიტერიუმებს, რასაც კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს. ისინი პროცესის ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად უფლებადამცველებს შერჩევის პროცესში ჩართვისკენ მოუწოდებენ. „ჩვენი შემდგომი განვითარებისთვის, მათ შორის, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის შეფასების დროს გადამწყვეტი იქნება, პროცესი ინკლუზიური იყოს და ისეთი ომბუდსმენი შეირჩეს, რომელიც რომელიმე პარტიის შერჩეული ან მასთან აფილირებული არ იქნება“, - აცხადებენ მესამე სექტორში.

* * *

ლატვიის პრეზიდენტმა ეგილს ლევიტსმა საქართველოში ლატვიის რესპუბლიკის ახალ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ედიტე მედნეს რწმუნებათა სიგელები გადასცა. ახალდანიშნულმა ელჩმა განაცხადა, რომ ლატვია არის და დარჩება საქართველოს სანდო პარტნიორად. „ერთგული ვარ ლატვიასა და საქართველოს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების ხელშეწყობის და ვაპირებ მჭიდროდ ვიმუშაო ლატვიურ დიასპორასთან“, - აღნიშნა მედნემ.

მოამზადა
ია შველიძემ

# გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი – აჭარაში

**ფიქრია დავლაძე 597 25 25 72**

*გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, მტირალას ეროვნულ პარკში მიმდინარე ეკოტურისტული სამუშაოები დაათვალიერა. მტირალას ეროვნული პარკისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკების ქსელისა და ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის პროექტირებისა და მოწყობის სამუშაოები 2023 წელს დასრულდება. ტერიტორიაზე მოეწყობა თავშესაფრები, ფანჩატურები, საცეცხლურები, ხიდები, გადასახედები და სხვა*



- დღეს სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის მინისტრთან ერთად მოვინახულეთ მტირალას ეროვნული პარკი და ძალიან მახარებს, რომ აღნიშნული ტერიტორია ერთ-ერთი სამაგალითო ხდება ჩვენს ქვეყანაში. ვითარდება ინფრასტრუქტურა. ასევე, შევხვდით რეინჯერებს, ვისაუბრეთ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე. დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივად ყველაფერს გავაკეთებთ როგორც ამ ეროვნული პარკის განვითარებისთვის, ისე თითოეული თანამშრომლის მხარდაჭერისთვის - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

აღინიშნა, რომ მტირალას ეროვნული პარკის უნიკალური ბუნება არაერთხელაა საერთაშორისოდ აღიარებული. მტირალას ეროვნული პარკი ერთ-ერთი მაგალითია დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებით მიღებული სარგებლის. ეროვნული პარკის დაარსების შემდეგ, მიმდებარედ განვითარდა მეფუტკრეობა, მოეწყო მცირე ზომის ტურისტული ობიექტები, სასტუმროების ინფრასტრუქტურა, შეიქმნა სამუშაო ადგილები.

- შარშანდელთან შედარებით 80%-ით მეტია ვიზიტიორების რაოდენობა აჭარის რეგიონში და მთლიანად დაცულ ტერიტორიებზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, რომ ეს რაოდენობა წლის ბოლომდე გაორმაგდება. ჩვენ აქტიურად ვზრუნავთ იმისთვის, რომ მოვაწყოთ შესაბამისი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა დაცულ ტერიტორიებზე, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ვიზიტორი გვყავდეს. პანდემიის პერიოდში დაცული ტერიტორიების სააგენტო შეუფერხებლად ასრულებდა ყველა იმ სამუშაოს, რომელიც ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას ემსახურება. ჩვენ დაახლოებით 1000 კილომეტრი ბილიკის მოწყობის სამუშაოები დავიწყეთ შარშან, რომლისთვისაც 30 მილიონ ლარზე მეტია ბიუჯეტიდან გამოყოფილი. დღეს ვიმყოფებით მტირალას ეროვნულ პარკში, სადაც ასევე მიმდინარეობს ერთ-ერთი პროექტი. ტერიტორია მიეკუთვნება კინტრიშის დაცულ ტერიტორიას. ამ პროექტისთვის 7 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ჩვენ, რა თქმა უნდა, მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ ეკოტურისტული სერვისების განვითარებას და ინფრასტრუქტურის მოწყობას დაცულ ტერიტორიებზე, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ.

გუშინვე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად, შავი ზღვის გონიო-ანაკლიის აკვატორიაში წყლის სინჯების აღებისა და აღებულ მასალაზე კვლევების ჩატარების პროცესს დაესწრო. სინჯები გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის სპეციალისტებმა აიღეს. შეხვედრაზე ითქვა, რომ მნიშვნელოვანია წყლის სიღრმეში სხვადასხვა ხარისხობრივი პარამეტრის განსაზღვრა, რასაც სპეციალისტები ბოლო დროს შეძენილი თანამედროვე მულტიპარამეტრული ზონდის დახმარებით ახორციელებენ. აღნიშნული ხელსაწყოს საშუალებით შესაძლებელია უმაღლესი ხარისხის მონაცემების მიღება და 100 მეტრის სიღრმეში წყლის ისეთი პარამეტრების განსაზღვრა, როგორიცაა ტემპერატურა, მარილიანობა, pH, ხსნადი ჟანგბადი, ქლოროფილი, გამჭვირვალობა და სხვა. მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა, სპეციალისტებს ჰქონდეთ უფრო ზუსტი ინფორმაცია ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის და ზღვის ბინადრების საარსებო გარემოს შესახებ, რის საფუძველზე შესაძლებელია ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების ზეგავლენის შედეგად ზღვის გარემოში მიმდინარე ეკოლოგიური ცვლილებების დროული გამოვლენა, შეფასება და პროგნოზირება.



- სამინისტრო აქტიურად მუშაობს გარემოს დაცვითი მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების კუთხით, მათ შორის არის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო-დირექტივა და მისი შესაბამისი პრინციპების დანერგვა. გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობები ყოველწლიურად იზრდება. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მათ აქვთ თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა, შესაბამისი კვლევების საწარმოებლად, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ოთარ შამუგიამ.

- ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ კარგ დონეზე განვავითარეთ ზღვის მონიტორინგი. მივიღეთ ახალი ხელსაწყოები, გვაქვს საშუალება, გავიგოთ წყლის ჰიდროლოგიური და ჰიდრობიოლოგიური პარამეტრები, რომელიც ადრე ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ იყო. შეგვიძლია ამ პარამეტრების სიღრმისეული განაწილება შევისწავლოთ, რაც გვაძლევს საშუალებას გავიგოთ გარემოს ფონური მდგომარეობა, შევაფასოთ როგორც ბიომრავალფეროვნების, ისე - ბიოლოგიური რესურსების მაჩვენებლები, ეს ინფორმაცია გვეხმარება ასევე, თევზჭერის ფლოტების დადგენაში, - აღნიშნა გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეებისა და აკვაკულტურის სამმართველოს უფროსმა რამაზ მიქელაძემ.

იხ. მე-2 გვ.


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



# განათლებაზე ზრუნვა – მთავრობის სტრატეგიული პრიორიტეტი



მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დაიწყება, 80 ახალი სკოლის მშენებლობასა და 320 სკოლის რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოცხადდება. ამ მასშტაბური პროექტის ინიციატორი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილია. მთავრობის ადმინისტრაციაში, პრემიერის ხელმძღვანელობით გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა ლევან სუხიტაშვილმა მთავრობის მეთაურთან ერთად პროექტის დეტალები განიხილეს. პროექტის თანახმად, დარჩენილი 400 სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი 2023-2024 წლებში გამოცხადდება და 2026 წლის ბოლოსთვის, ჯამში, 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება.

პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობასა და მათ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს და მისი განხორციელებით 230 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს. შედეგად, 2026 წლის ბოლოსთვის ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფრასტრუქტურულად გამართული იქნება.

რეაბილიტაციისა და ახალი სკოლების მშენებლობის დროს გათვალისწინებულია მათი აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, მოეწყობა თანამედროვე ლაბორატორიები, ტექნიკურად გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ყველა სკოლა მთლიანად ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე.

პროექტის ღირებულება 1 მლრდი ლარია.

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა აღნიშნა, განათლებაზე ზრუნვა მთავრობის სტრატეგიული პრიორიტეტია.

**ანკა ჩხიკვაძე**

# დაავადებების გადამტანების გასანადგურებლად



**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

***აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც დასახლებულია რეგიონის მოსახლეობის თითქმის 80%, განეკუთვნება ჰიპერმალარიოგენულ ზონას***

„საქართველოს შავიზღვისპირა საკურორტო ზონაში ტრანსმისიული დაავადებების გადამტანებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარების თაობაზე" საქართველოს მთავრობის №1000 განკარგულების ფარგლებში, აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა სადეზინსექციო საშუალება - 350 კგ სოლფაკი გადასცა. რეგიონის ტერიტორიაზე კოლოებისა და ტრანსმისიული დაავადებების სხვა გადამტანების გასანადგურებლად ორჯერადად უნდა დამუშავდეს 350 000 კვმ მუდმივი საცხოვრებელი სახლების ფართი.

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბონიფიკატორებმა პირველი ეტაპის სამუშაოები ივნისი-ივლისის თვეში განახორციელეს, ამჯერად მეორე ეტაპი მიმდინარეობს. დამუშავებულია 265 000 კვმ ტერიტორია - სანაპირო ზოლის საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები და სარდაფები, ბოტანიკური ბაღის შენობა-ნაგებობები. სამუშაოები აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

# სამეცნიერო ბანაკი – SPACE CAMP TURKEY



***ამ ბანაკის მიზანია ახალგაზრდების მეცნიერებითა და ტექნოლოგიებით დაინტერესების ხელშეწყობა. აქ მიღებული გამოცდილება მოსწავლეებს ეხმარება გუნდური მუშაობის, კომუნიკაციისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარების განვითარებაში. ბანაკში სამეცნიერო პროგრამა ინგლისურ ენაზე ხორციელდება და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ***

2011 წლიდან დღემდე, სამეცნიერო ბანაკში აჭარის რეგიონის სკოლებიდან 120 მოსწავლე ჩაერთო.

თურქეთის სამეცნიერო ბანაკი ქალაქ იზმირში 2000 წელს გაიხსნა. იგი ლიცენზირებულია ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ფონდის მიერ. თურქეთის გარდა, მსგავსი ტიპის ორი სამეცნიერო ბანაკი ფუნქციონირებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში.

პროექტი ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

**ანკა ჩხიკვაძე**

# სერვისის დონეს „იდუმალი სტუმარი" შეაფასებს

აჭარაში კვების ობიექტების მომსახურების ხარისხის კვლევა მიმდინარეობს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი სერვისის დონეს რეგიონში არსებულ 100 ობიექტში „იდუმალი სტუმრის" მეთოდით შეაფასებს. პროექტის მიზანი მომსახურების სფეროში არსებული გამოწვევების დადგენა და მათი აღმოფხვრის მიზნით სატრენინგო პროგრამების შემუშავებაა, რაც საბოლოო ჯამში, სერვისის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

„იდუმალი სტუმრის" კვლევის შედეგები კვების ობიექტების წარმომადგენლებს ინდივიდუალურად მიეწოდებათ, რათა მიიღონ ინფორმაცია არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით და შეძლონ მათი გამოსწორება. თავის მხრივ, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი არსებულ მონაცემებს 2023 წლის სატრენინგო პროგრამების დაგეგმვისას გაითვალისწინებს.

ყოველწლიურად, დეპარტამენტი რეგიონში სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ტურისტული სექტორის 1000-მდე წარმომადგენლის გადამზადებას უზრუნველყოფს. მათ შორისაა საგანმანათლებლო პროგრამები გიდებისთვის, კვებისა და განთავსების ობიექტების, ტურისტული სააგენტოებისა და საოჯახო-სასტუმრო სახლების წარმომადგენლებისთვის.

**ანკა ჩხიკვაძე**

# გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი – აჭარაში

პირველი გვერდიდან



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგიაშვილებში იმყოფებოდნენ, სადაც „ძმები ავალიანების მარნის" მეურნეობა დაათვალიერეს.

„სოფლის განვითარების პროგრამის" ფარგლებში, შპს „ძმები ავალიანების მარანმა", 51 მზის პანელის შესაძენად, 30000 ლარის ოდენობის თანადაფინანსება მიიღო. მზის მიკროელექტროსადგური გამომუშავებული ელექტროენერგიით (25კვ) მცირე საოჯახო მარანს ამარაგებს. მარნის მოსაწყობად კომპანიას მიღებული აქვს 1300000 ლარის ღირებულების შეღავათიანი აგროკრედიტი. მარანში 5 ადგილობრივია დასაქმებული; პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ხორციელდება.

- სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სახელმწიფო არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. ჩვენ ვეხმარებით ფერმერებს წარმოების ზრდაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ასევე, საწარმოების შექმნაში. რაშიც მნიშვნელოვანია, აქტიურად ჩაერთონ მეწარმეები, ფერმერები. ეს ხელს უწყობს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის დახმარებით, სოფლად ისეთ პროექტებს ვახორციელებთ, რომელიც არასასოფლო სამეურნეო საქმიანობის განვითარებას ემსახურება. ახლა ვიმყოფებით ქედაში, სადაც სწორედ სახელმწიფოს დაფინანსებით, დაახლოებით 2 მილიონის ინვესტიციაა განხორციელებული. აქვე, სწორედ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც მცირე ელექტროსადგური მოეწყო და დაახლოებით, 25 კილოვატი საათი ენერგია მიეწოდება მარანს, რაც მის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ასეთი პროექტები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას, ჩვენ გავაგრძელებთ იმ პროექტების განხორციელებას, რომელიც ფერმერების საჭიროებებზეა მორგებული, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

„სოფლის განვითარების პროგრამის" ფარგლებში, დაფინანსებულია 76 პროექტი. ინვესტიციის ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს აჭარბებს, თანადაფინანსება 7 მილიონ ლარზე მეტია. რაც შეხება ქედის მუნიციპალიტეტს, პროგრამით დაფინანსებულია 7 პროექტი, ინვესტიციის ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს აჭარბებს, თანადაფინანსება კი 600 ათას ლარზე მეტია.

- სახელმწიფოს მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, დავამონტაჟეთ 51 ცალი პანელი, სახელმწიფომ დაგვაფინანსა 30 ათასი ლარით. მე პირადად, შესაბამის უწყებაში მექანიზაციაზე მქონდა შეტანილი განაცხადი. 16 500 ლარით დამაფინანსეს და სავენახე ტრაქტორი შევიძინე. ამავდროულად, 500 000 ლარის გრანტი მაქვს მოპოვებული. მახუნცეთში ყურძნის გადამამუშავებელ ქარხანას ვაშენებ, ეს უპრეცედენტო დახმარებაა სოფლის მეურნეობისთვის, - ამბობს მეწარმე ზურა ავალიანი.

„სოფლის განვითარების პროგრამას" სოფლის განვითარების სააგენტო (R) ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPAR) ფარგლებში ახორციელებს.

# ღია პირველობა – კალათბურთში



**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

***ბულვარში, „ბათუმი - სპორტის ქალაქის" ფარგლებში, პროექტი „ქუჩის კალათბურთი" განხორციელდა***

ტურნირში 8 გუნდი მონაწილეობდა. გამარჯვებულებს თასები, მედლები და სიგელები ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა გადასცა. ღონისძიება ბათუმის სპორტული ცენტრის ორგანიზებით მოეწყო.

- „ბათუმი - სპორტის ქალაქის" ფარგლებში, კალათბურთში ღია პირველობა გაიმართა. აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე ტურნირები და სპორტული ღონისძიებების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება, მასში მოზარდები აქტიურად არიან ჩართულები. ჩვენ მაქსიმალურად მხარს დავუჭერთ და ხელს შევუწყობთ ჯანსაღი ცხოვრებისა და სპორტის პოპულარიზაციას. ვულოცავ ყველა გამარჯვებულს წარმატებას, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

# პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი რეალობა...

ლაშა ხოშერიკი 593 50 82 69

„დასავლეთში არსებობს აზრის თავისუფლებაც, მრავალპარტიულობაც, ნაირნაირი მოძღვრებაც, მაგრამ ამასთან ერთად, არსებობს პოლიტიკური მმართველობის სისტემაც, რომელიც ყველა პარტიისთვის ხელშეუხებელია. ამ სისტემის განმტკიცებას, სტაბილურობას ემსახურება როგორც ერი, ისე პარტიული ორგანიზაციები, მაგრამ ჩვენთან ასე არ ხდება“, - ეს სიტყვები მწერალ თამაზ ჭილაძეს ეკუთვნის, რომელიც მან ჯერ კიდევ ამ 30 წლის წინ წარმოთქვა და ეიმედებოდა, რომ საქართველო ევროპული ყაიდის სახელმწიფო გახდებოდა. ასე არ მოხდა, უფრო პირიქით, ქართული პოლიტიკური კლასი ურთიერთს დაერია, ძმათამკვლელი ომიც გააჩაღა, რუსეთის პროვოკაციასაც წამოვეგეთ სახელმწიფო გადატრიალების თვალსაზრისით, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი რეალობაა.

საქართველოში დაახლოებით 300 პარტიაა რეგისტრირებული, ამ პარტიათა უმრავლესობას არც პროგრამა და არც სამომავლო მიზანდასახულობა გააჩნია, მათი მიზანი, ძირითადად, არჩევნებში მონაწილეობა და ამომრჩევლის დეზორგანიზაცია გახლავთ. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ამ ფსევდოპარტიების უკან ხელისუფლება დგას. ასე თუ ისე, ერთი რამ ცხადია, ჯერჯერობით საქართველოს პოლიტიკური სურათი ორ პოლუსადაა („ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“) დაყოფილი, თუმცა შეიმჩნევა პოლიტიკური სპექტრის გამრავალფეროვნება. დაახლოებით ექვსი პოლიტიკური ძალა („ქართული ოცნება“, „ნაცმოძრაობა“, „სტრატეგია აღმაშენებლი“, „ლელო საქართველოსთვის“ „გირჩი - მეტი თავისუფლება“ და გიორგი გახარიას „საქართველოსთვის“) აქტიურობს, მაგრამ რიგ ქალაქებსა და რეგიონებში, ისევ ორ პოლუსზეა დასული პოლიტიკური რეალობა, საკრებულოები, ძირითადად, მმართველი გუნდითა და „ნაცმოძრაობითაა“ დაკომპლექტებული, რაც კითხვას ბადებს: არსებობს თუ არა იმის შანსი, რომ სამომავლოდ ჩამოყალიბდეს მესამე პოლიტიკური ცენტრი და რატომ არ ხდება პოლიტელიტის განახლება?

ექსპერტები აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში, ანუ საპარლამენტო არჩევნებამდე მესამე პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბება შეუძლებელია, სანამ თითოეული ოპოზიციონერი ლიდერი ვერ მიხვდება, რომ აუცილებელია პარტიების წამყვან ფიგურებთან შეთანხმება, მათთან გარკვეული საკითხების შეჯერება, ასევე, ღირებულებების, იდეოლოგიების თანხვედრა, იქამდე ეს სიტუაცია არ გამოსწორდება. ამ მხრივ მარტივ მაგალითს მოვიყვან: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „სტრატეგია აღმაშენებელმა“ კარგი სტარტი აიღო, მაგრამ შემდეგ, დაახლოებით ორი პროცენტი აიღო, ანუ ჩვენთან ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა ტენდენცია - იქმნება რაღაც პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც თითქოს გამოაცოცხლებენ პოლიტიკურ სპექტრს, მაგრამ შემდეგ ჩრდილში ექცევიან, ასე იყო სააკაშვილის დროს, როდესაც, მაგალითად, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ მთელი ქვეყნის მასშტაბით (2010 წელს) მეორე ადგილი აიღეს, მაგრამ ორი წლის შემდეგ ეს პარტია გაქრა პოლიტიკური არენიდან. არადა, მესამე პოლიტიკური ძალა ყოველთვის იქმნება მმართველი პოლიტიკური ძალის ბირთვში, ან ყოფილი მმართველი პარტიის წევრებისგან კომპლექტდება, ეს, ერთი მხრივ, პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებას იწვევს, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს ტრადიციული სახეების შენარჩუნებას პოლიტიკაში, რაც განაპირობებს ქვეყნის ამჟამინდელ რეალობას - ჩამოუყალიბებელი სამოქალაქო საზოგადოება, ინდიფერენტული მოქალაქეები და სუსტი სახელმწიფო. სწორედ ამის შესახებ საუბრობს პოლიტოლოგი გელა ირემაძე: „უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ გააჩნია დეტალურად, ხალხის ენაზე გასაგებად დაწერილი არც პარტიის პროგრამა, არც საარჩევნო პროგრამა, არც სამოქმედო გეგმა და არც ტაქტიკა, ეს არის უმთავრესი ხარვეზი, რომელიც გამოსასწორებელია, ამ კუთხით ძალიან შორს ვდგავართ ევროპული პარტიებისგან, რაც მთავარია, პარტიები სახელმწიფოებრივად უნდა მოქმედებდნენ ქვეყნის წინსვლისთვის“.

არანაკლებ მნიშვნელოვან გარემოებაზე უნდა გავამახვილო ყურადღება: განვლილმა საპარლამენტო არჩევნებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ დაცალკევებულ ოპოზიციას არჩევნებში გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვს, ახლა არ მოვიყვან არჩევნებში გაყალბება-არგაყალბების თაობაზე ოპოზიციის ბრალდებებს, უბრალოდ ვიტყვი, რომ არჩევნებში მმართველ პარტიას მხოლოდ ერთ მუშტად შეკრული ოპოზიცია ამარცხებდა, ასე მოხდა 1990 წლის არჩევნებისას, როდესაც „მრგვალმა მაგიდამ“ „კომუნისტური პარტია“ დაამარცხა, 2003-ში - „მოქკავშირი“ - „ნაცმოძრაობამ“, 2012-ში კი „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციაში „ქართულმა ოცნებამ“ გაუშვა. როგორც ცნობილია, ამ დრომდე საქართველოში ორი ვადის შემდეგ ძალაუფლებას მმართველი პარტია ვერ ინარჩუნებდა, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ ტრადიცია დაარღვია და მესამეჯერ შეძლო მმართველობის გახანგრძლივება. რა იქნება ამჯერად, ანუ 2024 წლის არჩევნებში, ამას მომავალი დაგვანახებს...

საპარლამენტო არჩევნებამდე ორი წელი დარჩა და ძნელია პროგნოზი, თუმცა გარკვეული დასკვნის გაკეთება შეიძლება. ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია არჩევნებზე მოსახლეობის რა რაოდენობა მივა. თუ მოსახლეობამ ინერტულობა გამოიჩინა, მაშინ ეს მმართველი გუნდისთვის იქნება ხელსაყრელი, ისიც უნდა ითქვას, თუ კოალიციების ჩამოყალიბება არ შეიზღუდება, ეს ოპოზიციის წისქვილზე დაასხამს წყალს. რჩება აგრეთვე, მაჟორიტარული სისტემა, თუმცა არც ეს გარემოებაა დაუძლეველი ბარიერი. მაგალითად, ყველა ოლქში ოპოზიციამ საერთო კანდიდატი უნდა დააყენოს და დაუპირისპირდეს მმართველ პარტიას, რაც თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს ოპონენტებს. განვიხილოთ ქართული პოლიტიკის მთავარი აქტორები. დავიწყოთ მმართველი გუნდით. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მეათე წელია. მან არჩევნები 2012, 2016 და 2020 წლებში მოიგო, მაშინ (და დღესაც) მისი მთავარი მოწინააღმდეგე „ნაცმოძრაობა“ იყო და არის, თუმცა მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა: ყოფილი მმართველი პარტია ორ ნაწილად დაიშალა, ასე ვთქვათ „ძველმა გვარდიამ“ პარტია „ევროპული საქართველო“ შექმნა, რომელიც ახლა ოპოზიციურ ფლანგზე „ნაცმოძრაობის“ მთავარი კრიტიკოსია, ესეც ბედის ირონიაა. გარდა ამისა, თუ სააკაშვილის ადვოკატს (ხაჭაპურიძე) ვენდობით, ის პრაქტიკულად ჩამოშორდა „ნაცმოძრაობას“, როგორც ამბობენ, განაწყენებულია თავის თანაგუნდელებზე, მიზეზი - ვერ უზრუნველყვეს მისი გამოხსნა საპატიმროდან, არაა დასამალი, რომ „ნაცმოძრაობა“ არჩევნებში ხმებს სწორედ სააკაშვილის ფაქტორით ახერხებდა, მის გარეშე კი ყოფილ მმართველ ძალას გაუჭირდება მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსის შენარჩუნება, რომ აღარაფერი ვთქვათ, არჩევნებში გამარჯვებაზე... თავის მხრივ, მმართველ პარტიასაც შეექმნა პრობლემები, მას გამოეყო რამდენიმე პარტია, შემდეგ პარტია დატოვა „ძველი გვარდიის“ მნიშვნელოვანმა ნაწილმა - დათო ჭიჭინაძემ, ეკა ბესელიამ, ზვიად ძიძიგურმა, გედევან ფოფხაძემ და ა. შ. ამას დაემატა ისიც, რომ ერთ დროს მმართველი პარტიის ფავორიტმა გიორგი გახარიამ ახალი პარტია „საქართველოსთვის“, შექმნა და ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ოპონენტი გახდა. როგორც ცნობილია, მმართველ გუნდს სულ უფრო ხშირად აკრიტიკებს ოპოზიციური სპექტრი, ეს მეტწილად, გამოიწვია შარლ მიშელის შეთანხმების ფაქტობრივად, ჩაშლამ. ამ მხრივ დასავლეთმაც გამოთქვა შეშფოთება, კანდიდატის სტატუსის ამ დრომდე არმონიჭება საქართველოსთვის, გარკვეულწილად, ხელისუფლების (ოპოზიციის თქმით) მიერ დასავლეთის შენიშვნების არგათვალისწინებამაც განაპირობა. მიუხედავად ამისა, მმართველი პარტია ჯერჯერობით ანგარიშგასაწევი ძალაა. თუ სოციოლოგიურ გამოკითხვებს დავეყრდნობით, „ქართული ოცნების“ რეიტინგი 30 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რაც ცუდი მაჩვენებელი არაა, თანაც ამას თუ დავუმატებთ მაჟორიტარულ სისტემას და ადმინისტრაციულ რესურსს, მაშინ მმართველ პარტიას (თუ ოპოზიცია კვლავ დაყოფილი დარჩა) არჩევნებში პირველი ადგილის დაკავება არ გაუჭირდება, მაგრამ როგორც თქმულა: „ზოგჯერ სიბრძნის ფარიც ვერ აიცილებს ბედისწერის ისრებს“. არავინ იცის, თუ რა პოლიტიკური მოზაიკა შეიქმნება ერთი და მით უმეტეს, ორი წლის შემდეგ...

ახლა მიმოვიხილოთ ოპოზიციური ძალები და მათი შანსები: ამ კუთხით მთავარი აქტორი, როგორც აღვნიშნეთ, „ნაცმოძრაობაა“, მისი ამომრჩეველი ამ დრომდე მატულობდა, მაგრამ სააკაშვილის ციხეში ყოფნამ და პრაქტიკულად, ქართული პოლიტიკიდან დისტანცირებამ „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი დაბლა დასწია, ეს მოსალოდნელი იყო. ამ მხრივ „ევროპული საქართველოს“ რეიტინგიც პრაქტიკულად განულდა, ეს პარტია ცნობადმა ლიდერებმა - უგულავამ, ბაქრაძემ... დატოვეს. განვლილ არჩევნებში სასურველი შედეგი ვერც „ლელო საქართველოსთვის“ და ვერც „სტრატეგია აღმაშენებელმა“ მიიღო, ამ მხრივ გამოსაყოფია გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“, რომელმაც ადგილობრივ არჩევნებში მესამე საპატიო ადგილი დაისაკუთრა. აღარ ვსაუბრობ სხვა პარტიებზე, რომლებიც მხოლოდ სატელევიზიო ოპოზიციად დარჩა. როგორც ჩანს, მათთვის უფრო მნიშვნელოვანია ტელეეკრანებზე გამოჩენა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაერთიანების გარეშე, ოპოზიციას გაუჭირდება მმართველი პარტიის დამარცხება არჩევნებში. უდავოა, რომ 2024 წლის პოლიტიკური მოზაიკა ქვეყანაში ბევრად იქნება დამოკიდებული მოქმედი ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე, ანუ რამდენად საზოგადოებაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას მიიღებს, იმაზე იქნება დამოკიდებული საზოგადოების რეაქციაც, ანუ თუ მთავრობა შეძლებს ადეკვატურად უპასუხოს საზოგადოებრივ გამოწვევებს, მაშინ შესაძლებელია, ჰქონდეს შანსი, რომ 2024 წელს იმავე შედეგით მოვიდეს ხელისუფლებაში, რა შედეგიც 2020 წელს ჰქონდა.

# გაეროში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხი განიხილეს

გაეროს უშიშროების საბჭომ დახურულ სხდომაზე, რუსეთ-საქართველოს ომის მე-14 წლისთავთან დაკავშირებით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე არსებული ვითარება და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხი განიხილა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

პოლიტიკურ და მშვიდობის საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე როზმარი დიკარლომ საბჭოს წევრებს ადგილზე არსებული ვითარებისა და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესის შესახებ განახლებული ინფორმაცია მიაწოდა. სხდომის დასრულების შემდეგ მედიასთან ერთობლივი განცხადებით წარსდგნენ უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების - აშშ-ის, ალბანეთის, გაერთიანებული სამეფოს, ირლანდიის, ნორვეგიისა და საფრანგეთის, ასევე, საბჭოს მომავალი წევრების - იაპონიის და მალტის წარმომადგენლები, რომლებმაც მტკიცე მხარდაჭერა გამოხატეს საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი; დაგმეს რუსეთის უკანონო შეჭრა და სამხედრო ყოფნა საქართველოს განუყოფელ რეგიონებში - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში; მძიმე ჰუმანიტარული და უსაფრთხოების გარემო, მათ შორის ისეთი უკანონო ქმედებები, როგორიც არის ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავებები და გატაცებები, თავისუფალი გადაადგილების შეფერხება, ე.წ. გამშვები პუნქტების ხანგრძლივი დაკეტვა, გალის და ახალგორის რაიონებში ეთნიკური ქართველების დისკრიმინაცია და მშობლიურ ენაზე სწავლის აკრძალვა.

„ღრმად შეშფოთებულნი ვრჩებით, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ადამიანის უფლებათა მონიტორინგის არცერთ საერთაშორისო მექანიზმს არ მიეცა აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში შეუფერხებელი წვდომა. ამდენად, ჩვენ მოვუწოდებთ, რომ ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისს და სხვა საერთაშორისო და რეგიონულ ადამიანის უფლებათა მექანიზმებს, ასევე, ევროკავშირის მონიტორინგის მისიას, მიეცეთ ამ რეგიონებში დაუყოვნებლივი, შეუფერხებელი შესვლის შესაძლებლობა,“ - აღნიშნულია განცხადებაში. იქვე ხაზგასმულია ყველა სამოქალაქო პირისთვის ჰუმანიტარულ დახმარებაზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობის გადაუდებელი აუცილებლობა, ასევე, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილებისთვის უსაფრთხო, ნებაყოფლობითი, ღირსეული და შეუფერხებელი დაბრუნების პირობების შექმნის საჭიროება.

ზემოხსენებული ქვეყნების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ რჩებიან ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ერთგულნი და მხარს უჭერენ ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ფარგლებში უწყვეტ შეხვედრებს როგორც ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესასრულებლად, ასევე რუსეთ-საქართველოს მოუგვარებელი კონფლიქტიდან მომდინარე უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების გამოწვევებზე საპასუხო, მნიშვნელოვან ფორმატებს.

„კვლავ ვიმეორებთ 14 წლის წინანდელ მოწოდებას რუსეთის მისამართით, რომ უკან წაიღოს საქართველოს ტერიტორიების - აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება, ხელი არ შეუშალოს საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმის შექმნას და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ორგანიზაციებს მისცეს ორივე რეგიონში შესვლის შესაძლებლობა," - აღნიშნულია განცხადებაში.

**ია შველიძე**

## უცხოეთი

გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში 18 აგვისტოს ლვოვში უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისა და თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდება. გუტერეში პარასკევს საპორტო ქალაქ ოდესას ეწვევა, შემდეგ კი გენერალური მდივანი სტამბოლში გაემგზავრება. თურქული მედიის ინფორმაციით, რეჯეფ თაიფ ერდოღანი უკრაინაში ერთდღიანი ვიზიტით, პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მიწვევით ჩავა. შეხვედრებზე განიხილება ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება გადაიდგას უკრაინა-რუსეთის ომის დიპლომატიური გზით დასასრულებლად. ამასთან, რეჯეფ თაიფ ერდოღანი და ვოლოდიმირ ზელენსკი თურქეთ-უკრაინის ურთიერთობების ყველა ასპექტს სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე განიხილავენ.

* * *

ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი წარსულს ბარდება, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. კრემლის ლიდერის თქმით, დასავლეთს სჭირდება კონფლიქტები, რათა ძალაუფლება შეინარჩუნოს, ამიტომ აშშ და მისი მოკავშირეები აქტიურად ერევიან სხვა ქვეყნების საქმეებში, აწყობენ ყველანაირ პროვოკაციას და სამოქალაქო ომებს. რუსეთის პრეზიდენტმა დასძინა, რომ დასავლეთის ჰეგემონია მთელი მსოფლიოსთვის სტაგნაციას ნიშნავს. თუმცა, მისივე თქმით, შესაძლებელია დაძაბულობის შემცირება და საერთო საფრთხეების დაძლევა თანამედროვე მრავალპოლარული მსოფლიო სისტემის გაძლიერებით. „რუსეთი გააგრძელებს ნაბიჯების გადადგმას უფრო დემოკრატიული სამყაროს მშენებლობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული მექანიზმების გაუმჯობესებისკენ“, - აღნიშნა პუტინმა.

* * *

ევროკავშირი დემოკრატიული მხოლოდ ქაღალდზეა, ხოლო რეალურ ძალაუფლებას ბერლინი და პარიზი ფლობენ, რომლებიც საკმარისად არ უსმენენ ევროკავშირის ნაკლებად ძლიერ წევრ ქვეყნებს, - ამის შესახებ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავეცკიმ განაცხადა. მისივე თქმით, ევროკავშირის შიგნით იმპერიალიზმის საფრთხეს ახლა ისევე უნდა ებრძოლონ, როგორც რუსული იმპერიალიზმის შემთხვევაში იყო საჭირო. „ჩვენ საქმე გვაქვს ფორმალურ დემოკრატიასთან, დე ფაქტო ოლიგარქიასთან, სადაც ძალაუფლება იმის ხელშია, ვინც უძლიერესია“, - აღნიშნა მატეუშ მორავეცკიმ და დასძინა, რომ ევროკავშირის შიგნით თანამშრომლობის საფუძველი უნდა იყოს კონსესუსის ძიება და „არა - ძლიერის ბატონობა“.

* * *

შეერთებული შტატები მსოფლიოში მწვავე სასურსათო კრიზისის მოსაგვარებლად 68 მილიონ აშშ დოლარის უკრაინულ ხორბალს შეიძენს, - ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი აცხადებს. „ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებას ყველაზე დაუცველთათვის. მოვუწოდებთ ყველა ქვეყანას, ამ მაგალითს მიჰყვენ“, - წერს ბლინკენი „ტვიტერზე“. ივლისის ბოლოს რუსეთმა და უკრაინამ თურქეთისა და გაეროს შუამავლობით, მიაღწიეს შეთანხმებას უკრაინის პორტებში ბლოკირებული მარცვლეულის ექსპორტთან დაკავშირებით.

**მოამზადა ია შველიძე**

# დავით არახამია: თავისუფლება სულის მდგომარეობაა, რომლის დათრგუნვაც შეუძლებელია

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***დავით არახამია** საინტერესო შემოქმედია, რომელიც წერს გულში ჩამწვდომად და მხატვრულად. შეუძლებელია არ მოგხიბლოს მწერლის განცდების სიღრმემ და ამ განცდათა გადმოცემის უნარმა, რომელმაც განსხეულება ლირიკულ პროზაში შეძლო. „მოვედი წინაპრებიდან და მივეშურები უფლის გზაზე, წინ - წინაპრებისკენ“, - იტყვის ასე და ჩვენ წინაშე წარმოსდგება მოაზროვნე, გონებით მხედი პიროვნება, რომლის სიტყვებს „რა ცოდნაც გვაქვს - ცნობიერებაც იქამდე მიდის“, უთუოდ ვირწმუნებთ და გავითავისებთ კიდეც, ამ ინტერვიუს შემდეგ.*

**- „გულზე გადამდის წლების ჩქერი“ - წერთ ერთგან. ჰოდა, ამ წლების გადასახედიდან როგორ გამოიყურება თქვენი „სივი“?**

- სიცოცხლის ცაზე მაისის მზის მეხოტბე ვარ. დავიბადე 1963 წლის 26 მაისს. ამ დღიდან ღვივის ჩემი სიცოცხლის ვარდისფერ სიზმრის ღიმილი. ჩემი სიცოცხლის ვარდი ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში აღმოცენდა და გაიფურჩქნა. სკოლის დამთავრების შემდეგ განათლების მისაღებად ყმაწვილკაცობის მქუხარე ტალღებს სიმშვიდის ბორნით გამოვყევ თბილისამდე 1980 წელს. მას შემდეგ მივუყვები ცხოვრების ციცაბოებს წეროსავით კისერაწვდილი, ფიქრის ქარავნით: სამყაროზე, სამშობლოზე, ოჯახზე, შვილებსა და შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული.

**- „ვაზის ჩრდილში, მიწის სურნელით გაჟღენთილ ბალახზე წამოწოლილს სტუმრობა მომინდა წარსულში საკუთარ თავთან“ - უთუოდ დააინტერესეთ მკითხველი ამ ნათქვამით. ესტუმრეთ საკუთარ თავს, მოგისმენთ...**

- სადღაც შორეთში გამიტაცებს ხოლმე ზღვისფერი ოცნებები, და ეს ხომ რეალობა იყო ოდესღაც. დღესაც მსურს, ფეხშიშველმა დავირბინო მთა-ბარი და ეზო-ყურე, თორემ ვინ იცის, ხვალ-ზეგ რა მომელის. ნააკვნარს კი აშორდეს გვალვა და სეტყვა, ავთა ქართა რისხვა ზუზუნი. მთებში ისმას ყიჟინა ცხენგაქაფულის და მიარღვევდნენ მკერდგაღეღილი მხედრები ჭალას. მე კი საძოვარზე გავრეკო ძროხა-კამეჩი და ვუცქირო, როგორ აშრობს ლორთქო ბალახს თაკარა მზე. გულს მოეფინოს ბულბულის სტვენა, როგორც მდინარის ნარნარა ზვირთი. ფიქრებს მტაცებს მთებს შელეწილი მდინარის ჩქერი. ვახელ სიზმრიან თვალებს და მზერა გადავსტყორცნე მდინარის გადაღმა, სადაც ოდესღაც ხობისწყალმა მიმღერა ნანა, ახლაც რომ ტანში ჟრუანტელად მივლის. გავცქერი მშობლიურ მთათა მწვანე ნაოჭებს, შევხარი აწმყოს და არც მიკვირს, რადგან გულში ჩამრჩა სილამაზე და სიდარბაისლე კოლხურ მთებისა. ძველთაძველ ოდას თავზე ედგას ჩერო ჩინართა. ჩუქურთმებიანი მაღალი კედლის სარკმლიდან აღელვებული, შეშფოთებით ვუმზირო მთვარეს, რომ ვისაუბრო წარსულის ბაღში იმ ძველ სატრფოსთან, რომლის მიმართ ჩემს ოცნებას არ ჩაუვლია ცუდად, ჟამთასვლის მერე მის მკერდზე შეუმჩნევლად გაჩენილ ბორცვებზე, რომელთაც დარცხვენილი მალავდა მუდამ. მსურდა, მენახა მხრებში ამაღლებული, დაქალებული და მაინც ნაზი, ტანლერწამა, მშვიდ სახეზე ღიმილგაჩაღებული მისი არსება, დაკოდილ გულზე დასალეწავად და ამ სცენის მხილველთ აივანზე ექოთქოთათ ყვავილთ ქოთნებს, რომ მწუხარ გზაზე მასთან ალერსის ბრწყინვალება დაუცხრომელ სინათლეს აფრქვევდეს სიხარულისას. ეს ის წარსულია, სადაც ხშირად ვმოგზაურობ ხოლმე ოცნებით და ახლა, როცა მიმოვიხედე, ერთმანეთს ცვლიან დღეები, წლები, გულჩვილად ვლაღობ.



**- საიდან მოხვედით და საით მიეშურებით... თქვენი წინაპრები... საიდან დაიწყეთ სამყაროს აღქმა?**

- ხშირად ვსტუმრობ საკუთარ თავს, ღრმა ფიქრის შემდეგ გაფითრებული ვეკითხები მერმისს, ამ საწუთროში საიდან მოველ ან სად მივეშურები? შევყურებ ზეცას, მეფობს დუმილი. თავად ვცდილობ გავცე საკუთარ თავს პასუხი. აწმყოდან წარსულისაკენ ვფურცლე გენეტიკური მეხსიერების ფურცლები, როგორც დავადგინე და გადმოცემით ვიცი, წარსულში ჩემი წინაპრები მეჯოგეები ყოფილან. ბაბუის ბაბუას რქმევია დათა, ჩემს ბაბუს ერქვა გრიგოლი, ჩემთვის დაურქმევიათ დავითი, მე კი ჩემს ვაჟს დავარქვი გრიგოლი, ჩემმა ვაჟმა კი თავის ვაჟს დავითი. ამ ჩამონათვალით სამი საუკუნე გამოდის თითქმის და იმის წინ ვინ იყვნენ, სამწუხაროდ, ინფორმაციამ ჩემამდე ვერ მოაღწია. მახსოვს, ძალიან პატარა როცა ვიყავი, ბაბუის სახლში, სადაც დაბადებიდან მხოლოდ ორი თუ სამი წელი ვიზრდებოდი, კედელზე ეკიდა ჩოხა, ხმალი, ხანჯალი და ფილთა თოფი, რაც დიდ ინტერესს იწვევდა ჩემში. წინაპრის ამ სამოსს და იარაღს, შთაგონებული, მოწიწებით შევყურებდი ხოლმე. ვფიქრობ, როგორ ცხოვრობდნენ მამა-პაპანი ქვეყნად, როგორ აწრთობდნენ სიმამაცეს ურიცხვ მტერთან და დუშმანთან ბრძოლაში, რომელთა ძვალთსანახებს მშობლიურ მიწაზე შთამომავალთ ცრემლები აყრია. ახლა, როცა ექვსმა ათეულმა წელმა გაირბინა თვალწინ, ამ სამოსის და აღჭურვილობის მაგიურ სურნელებიდან იწყება ჩემი სამყაროს აღქმაც. კითხვაზე, საიდან მოხვედით და საით მიეშურებით? მოვედი წინაპრებიდან და მივეშურები უფლის გზაზე, წინ - წინაპრებისკენ.

**- თავისუფლების თქვენეული აღქმა... ერთხელ ჰკითხეთ საკუთარ თავს: - დათო,შენ თავისუფალი სული ხარ? ახლა უპასუხეთ.**

- დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციაში უმთავრეს ღირებულებად მიჩნეულია თავისუფლება. „ყველა ადამიანს აქვს ბუნებისგან მინიჭებული არჩევანის, გამოხატვისა და რწმენის თავისუფლება“. საერთოდ, რას ნიშნავს არჩევანის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება ან რწმენის თავისუფლება? ვერანაირი კანონი ბოლომდე ვერ მოამწყვდევს და ჩაახშობს თავისუფლებას. თავისუფლება და კანონი ვერ შექმნის ვერასდროს იდეალურ კომბინაციას, ეს ორი ურთიერთსაპირისპირო მცნებაა. ვერ მოვნათლავთ კანონს ადამიანის თავისუფლების გარანტად, მმართველობის ფორმა, თავისუფლების ამ მცირე დოზებს საკენკად გვიყრის. თავისუფლებაა, ერთგვარად ფლობდე და შეიცნობდე საკუთარ თავს. რომ დავთმო თავისუფლება, გამოდის, რომ უნდა დავთმო ჩემი თავი, მისი შეცნობის პროცესი, ანუ ვერ განვახორციელებ ვერც სიყვარულს, ვერც სინანულს, ვერც რწმენას, ვერცერთ ამგვარს ვერ განვახორციელებ, თუ არ ვარ ჩემი თავი. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, თავისუფლება ინდივიდუალურია ყოველი ინდივიდისთვის, მაგრამ ის, ყველა შემთხვევაში, სულის მდგომარეობაა, რომლის დათრგუნვაც შეუძლებელია. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ხშირად გავდივარ საკუთარ სხეულიდან და შემოვდივარ, რადგანაც არ არსებობს დედამიწაზე იმაზე ამაღლებული გრძნობა, როგორიც ბედნიერებაა. ამიტომაა თავისუფლებაც ის უძვირფასესი ღირებულება, რაც ადამიანს ადამიანად ყოფნის სიამოვნებას აგრძნობინებს: აკეთო ის, რაც გინდა, იყო ისეთი, როგორიც გინდა, იყო, განკარგო საკუთარი ცხოვრება ისე, როგორც გსურს.

**- თქვენი წიგნები კრიტიკოსთა ყურადღების არეალშია, გეხმარებათ მათი რეცენზიები?**

- ნეტავ შემეძლოს პასუხის გაცემა, თუმცა, შევეცდები. მნიშვნელოვანია გამოხმაურება, რომელიც ავტორის წიგნებს უნდა მოჰყვეს მკითხველისგან და ლიტერატურული კრიტიკოსებისგან, მაგრამ სინამდვილეში არ არის... და თუ არის, გამოიხატება ავტორის ქებასა ან ძაგებაში. ჩემ შემთხვევაში რამდენიმე ადამიანი აკეთებს ამას, წერენ რეცენზიებს, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ, მაგრამ მე მეტი მინდა, მინდა კრიტიკული თვალით შეხედონ ლექსს თუ ჩანახატს, თქვან, რა ვარგა და რა არ ვარგა. განიხილონ სტროფ-სტროფ თუ აბზაც-აბზაც, რომ შემოქმედებით ზრდაში დაეხმარონ მათი ნააზრევი ავტორს. ბევრი რომ არ ვისაუბრო, ხმაგაუმტარ, მორაკრაკე სიჩუმეში წერაა ჩემთვის მთავარი და კითხვა. ეს მანიჭებს სიამოვნებას და სიხარულს.

**- ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი უნდა იყოს ყველა ქართველისათვის... და რომ არ არის? როგორც ამბობთ: „სამშობლოს სიყვარული მძიმე ტვირთია, უნიათო ვერ აწევს მას“. საქართველოსთვის ულტერნატივო გზად რა გესახებათ?**

- დიახ, არ არის. სამშობლოს სიყვარული მძიმე ტვირთია, ყველა ვერ ასწევს მას. ჩვენს მხნეობას და სულიერ შეუპოვრობას ასაზრდოებს საკუთარი შესაძლებლობების იდუმალ თავისებურებათა წყარო. დარწმუნებული ვართ, ყველაფერი ვიცით, რა ხდება ჩვენს ირგვლივ. თავს ვაძლევთ ილუზიაში ყოფნის უფლებას. ვერ ვაღწევთ სიღრმეებში საკუთარი თავის შესაცნობად. სიბნელე სიბნელეს ვერ გააქრობს, ეს შეუძლია მხოლოდ სინათლეს. სამწუხაროდ, რა ცოდნაც გვაქვს, ცნობიერებაც იქამდე მიდის. სულიერი წრთობის საწყისი უნდა ჰყვაოდეს. უნდა შევძლოთ სულიერი და ინტელექტუალური ძალების მობილიზება. უნდა მოხდეს აზროვნების და გონების გამოთავისუფლება დრომოჭმული საბჭოთა მონური მენტალიტეტისაგან. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ ახალგაზრდობა საზოგადოებრივი ცხოვრებით დაინტერესდეს. ისინი უნდა ჩამოყალიბდნენ თავისუფალ ადამიანებად. ღმერთის ფეხის ხმას მახვილი მზერა გავაყოლოთ, რათა ტანჯვის უნარი შეგვრჩეს, ქვეყანა რომ არ დაიღუპოს.

**- ვის გამოიხმობდით წარსულიდან, რომ შეძლოს ჩვენი სულების განათება და ჩვენი გაერთიანება ქვეყნის საკეთილდღეოდ?**

- დიდი ხანია მამულის სევდის სარკეში ბინდი ჩაგვისახლდა, თითქოს იმედის კანდელიც ჩაქრა, რადგანაც დღემდე ვერ ვაკიაფეთ სამშობლოს იღბლის ვარსკვლავი. ვცდილობ, პასუხი გავცე თქვენს კითხვას და ფიქრებში წარსულის მქუხარე ტალღებს შევები სიმშვიდის ბორნით. აწმყოდან წარსულისაკენ ვფურცლავ მეხსიერების ფურცლებს, მივენდე ჟამთაღმწერლებს. ცრემლი მადგება თვალებზე, მამულის აკვანს ქარიშხლის ტალღები არწევს... ჩამოწვა საღამოს ბინდი, მიყუჩდა ნიავი, ბნელში შუქივით აღიმართა გული მზიანი, თითქოს უკვდავებამ სძლია უკუნს. მეზმანა უზარმაზარ მთებიდან დაშვებული მხედრიონი. მომესმა ძახილი, მივაყურადე, თეთრ რაშზე ამხედრებული სილუეტი დამიდგა თვალწინ. დიდი წინაპარი შევიცან ხმაში, დავით დიდი, აღმაშენებელი!

**- როცა რუსთაველს კითხულობთ, ყველა წაკითხვის შემდეგ რა განცდა გიჩდებათ, რას აღმოაჩენთ?**

- ყოველი წაკითხვის შემდეგ ვხდები უფრო ჭკვიანი, ვიდრე ვიყავი, ზეაღმატებული. ყოველი წინადადების ჭუჭრუტანიდან სამყაროს შიდა ხედი ჩანს. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ჩემთვის მეორე ბიბლიაა.

**- ქართულ ხალხურ ზღაპრებზეც უნდა გკითხოთ: რომელს გამოარჩევთ და რატომ?**

- „ნაცარქექიას“. ზღაპარი ხომ განუხორციელებელი ოცნებაა, ან სინამდვილის საპირისპირო, ან ტყუილი, რომელიც გვაუწყებს ყოველდღიური სინამდვილის ძლევით მასზე აღმატებულის დამკვიდრებას და თუ ეს ასეა, ეს მოვლენა სამყაროს ახალ საფეხურზე ასვლაა, სადაც არის ახალი ცა და ახალი მიწა... ამ გზის გამკაფავი ხომ ზღაპრის გმირია. გადის ბიჭი მამის სახლიდან, უსუსური, ყარიბი, ის არც გარე სამყაროს იცნობს. მას თავის დასაცავად კომბალიც კი არ მიაქვს. მიაქვს მხოლოდ ჭყინტი ყველი, სადგისი და გუდა ნაცარი. სახლიდან წაღებულ საგნებში ის აღმოაჩენს იმაზე მეტს, რასაც ისინი ასრულებენ ყოველდღიურ ყოფაში. ის მჭვრეტელია, ზის კერიაში და ქექავს ნაცარს, მაგრამ ნაცარქექიამ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად იცის, რომ ნაცრის ქექვა ცეცხლის არსის, მისი საფუძვლის ჭვრეტის სიმბოლოა. მან იცის, რისი დანატოვარია ნაცარი და ნაცრიდან რას შეიძლება მისწვდეს მისი მჩხრეკელი... ბიჭი, რომელიც გადის მამის სახლიდან, გამარჯვებული და გამდიდრებული უბრუნდება მას. ჩვენ, ქართველები, მხოლოდ ქმედებაში ვართ, მხოლოდ ვმოქმედებთ, საჭიროა ჭვრეტაც, ამიტომ გამოვარჩევ „ნაცარქექიას“.

**- მეგობარი ჩვენი სულიერი ნათესავია - ასე მიგაჩნიათ? და ვინ არიან თქვენი მეგობრები?**

- სული მარადიული დიდი ღირებულებაა სამყაროში. ჩვენ ვგრძნობთ და ვრეაგირებთ ადამიანის გარე ენერგეტიკულ გამოსხივებაზე, რომელიც მისი სულიდან მოდის. სულით ნათესაობა ორი ადამიანის ურთიერთობაა, რომელიც გრძელდება მრავალი რეინკარნაციისთვის. ადამიანების სულები მთელი ცხოვრების განმავლობაში ეხმარებიან ერთმანეთს დაკისრებული ამოცანების გადაჭრაში. ნათესავ სულებს აქვთ საერთო ცხოვრებისეული გამოცდილება. ერთმანეთის მიმართ ავლენენ ნათელ გრძნობებს, სიყვარულს, მეგობრობას. ადამიანთა სულები, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები ერთმანეთთან, მსგავსი შეხედულებები და ცხოვრებისეული პოზიციები, ასრულებენ ერთსა და იმავე მოქმედებებს. ასეთი ადამიანები თითქოს ასახავენ ერთმანეთის ქმედებებს, როგორც ანარეკლს სარკეში. აქედან გამომდინარე, რადგანაც არ ვარ ასეთი, თავს ვთვლი მარტო სულად, მაგრამ უამრავ ადამიანთან ურთიერთობისას ვხატავ საკუთარ თავს ადამიანური ურთიერთობების სრული სურათისთვის.

**- „მემენტო მორი“ - გვახსოვდეს სიკვდილი. გვახსოვს კი? ვემზადებით მისთვის?**

- დავიწყებასაც აქვს დადებითი მხარე, მხოლოდ სიკვდილზე თუ ვიფიქრებდით და აწმყოზე ვეღარ ვიმოქმედებდით, ვერ ვიაქტიურებდით, ანალიტიკურიდან სინთეზურ პროცესებზე ვეღარ გადავრთავდით აზროვნებას. რა თქმა უნდა, ვემზადებით, რადგანაც მხოლოდ სულის უკვდავების რეალობა ანიჭებს ადამიანს და მის ცხოვრებას დედამიწაზე ჭეშმარიტ ღირებულებას.

**- რა არის უმთავრესი მახასიათებელი, ადამიანს რომ აყალიბებს პლანეტის გვირგვინად?**

- როდესაც ვუყურებთ სამყაროს მასშტაბებს, ბუნებრივად გვიჩნდება უსუსურობის განცდა. ამ მასშტაბებით თუ შევხედავთ, ადამიანი კოსმოსური მტვრის უმცირესთა შორის უმცირესი ნაწილაკია. ადამიანი ხომ ბიოქიმიური და ფიზიკური სასწაულია სამყაროში, რომელსაც შეუძლია ჩვენთვის ცნობილ ორგანიზმთა შორის ყველაზე მაღალინტელექტუალური აზროვნება, ეს საბოლოოდ აყალიბებს პიროვნებას, ლოგიკას და შეიცნობს მთელ სამყაროს არა მხოლოდ ცოდნის და ინფორმაციის მიღებით, არამედ, წარმოსახვის საშუალებით, რომელსაც თვალების გარეშე, გონებით ხედვასაც უწოდებენ. სწორედაც ესაა ის უმთავრესი მახასიათებელი, ადამიანს რომ აყალიბებს პლანეტის გვირგვინად.

**- „მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო“. თქვენც ასე გჯერათ?**

- თუ ენის იმ უცნაურ მდგომარეობას ჩავუკვირდებით, რომელშიც იგი ტექსტის შექმნის დროს ექცევა, ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა ნამდვილად გაჭირდება. ენის სტიქიაში შესვლა, დაძაბული, ხანგრძლივ სუნთქვაზე გათვლილი პროცესია, სადაც წინადადებების სიღრმე გაოცებს, გაფორიაქებს, იძირები და ფსკერს ვერ გრძნობ, თანაც საშინლად გსიამოვნებს ამ სიღრმეებში შესვლა. სიცოცხლის იმ ნაკადებით ივსები, რომელიც ენას მოაქვს შენთან და საოცარი ძალით გრძნობ ერთიანობას ყველაფერთან, რაც გარს გაკრავს ხილული თუ უხილავი სახით, ასე რომ...

**- როცა ბათუმს სტუმრობთ.... ქალაქის თქვენეული აღქმა. შეეხმიანეთ ბათუმელებს.**

- სიმართლე გითხრათ, ბათუმის ხშირი სტუმარი არ ვარ, სულ რამდენიმეჯერ ვარ ნამყოფი. პირველად ახალგაზრდობის წლებში ვიყავი, საიდანაც დღემდე დაუვიწყარი მოგონება გამომყვა. 2014 წელს მიწვეული ვიყავი საბავშვო ბიბლიოთეკაში საკუთარი წიგნის წარდგინებაზე, რომელიც ინგა გოგიბერიძემ უმაღლეს დონეზე მომიწყო. ის თავად გახლდათ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი. მას შემდეგ კიდევ ორჯერ ვიყავი ღონისძიებებზე მოწვეული. მომწონს თანამედროვე ბათუმი. დიდია მისი როლი საქართველოს წინსვლაში, კულტურაში, ხელოვნებაში. ვიცნობ ბათუმელებს, რომელთაც პატივს ვცემ და ვაფასებ.

# „მირჩევნია, ჩემი ნახატები საზოგადოებაში იყოს გამოფენილი“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი ინტერვიუს საშუალებით ნიჭიერ, დამწყებ ილუსტრატორს, მხატვარსა და პედაგოგს **მარიამ კალანდარიშვილს** გაიცნობთ, რომელმაც სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის ქართული ილუსტრირებული ანბანი შექმნა. მისი მიზანი, ვიზუალიზაციის მეშვეობით ანბანის უკეთ დამახსოვრება და გაზიარებაა. მარიამი, გრაფიკული დიზაინის პროგრამის საშუალებით, საკუთარ პერსონაჟებსაც ქმნის, მისი ილუსტრირებით საბავშვო მოთხრობების წიგნებიც იბეჭდება. უყვარს პორტრეტების ხატვაც, თუმცა თვლის, რომ ეს მხოლოდ ჰობია. ძირითადად, აკრილის საღებავებით და უბრალო ფანქრით ხატავს. პროფესიით ფილოლოგია, ამჟამად ბათუმის „მეგა სკოლაში“ დაწყებით კლასებს ხელოვნებას ასწავლის.



**- მარიამ, როგორი ბავშვი იყავით?**

- ვერ გეტყვით, რომ გამორჩეული ბავშვი ვიყავი და თავიდანვე კედლებზე ვხატავდი. არა... ძალიან ჩვეულებრივი, წყნარი, მშვიდი და მორცხვი გახლდით. როგორც ყველა „90-იანელს“, მეც ეზოში თამაში მიყვარდა. ბაბუაჩემი ფიზიკოსია და გამუდმებით რაღაცას შლიდა და აწყობდა. ამ პროცესს დიდი ინტერესით ვუყურებდი, დეტალურად ვაკვირდებოდი და შემდეგ მეც ხან ტელეფონს, ხან დინამიკს ვშლიდი და აწყობას ვცდილობდი.

**- როდის დაინტერესდით მხატვრობით?**

- №2 საჯარო სკოლაში ვსწავლობდი. უნიჭიერესმა პედაგოგმა და ხელოვანმა ლია კასპელაშვილმა აქ გახსნა სტუდია, სადაც ფერწერა, გრაფიკა, გობელენზე მუშაობა და ა.შ. ისწავლებოდა. დედაჩემს ძალიან მოსწონდა გობელენის ხალიჩები და უნდოდა, ეს საქმიანობა შემესწავლა, მაგრამ გობელენის გარდა, ყველაფერი ვისწავლე (იცინის). ზოგადად, ნაქსოვი ხალიჩები არ მომწონს და არც მასზე მუშაობამ დამაინტერესა, უფრო ისეთი რამის გაკეთება ან სწავლა მიყვარს, რასაც შემდეგ გამოვიყენებ. სტუდიაში ყველაზე მეტად ხატვამ გამიტაცა. მახსოვს, თავდაპირველად, ლია მა-



სწავლებელმა ფურცელი და ფანქარი მომაწოდა და მითხრა, დამეხატა ის, რისი დახატვაც ყველაზე მეტად მეხერხებოდა. მეც, რა თქმა უნდა, ყვავილი ავირჩიე. შემდეგ მეუბნება - ციფრი მითხარიო. 5-მეთქი. ძალიან კარგი, ფურცელზე 5 ყვავილი დამიხატეო. გამიკვირდა, რისი ხატვაც უკვე ვიცოდი, რატომ უნდა დამეხატა, ან ასე როგორ უნდა მესწავლა ხატვა? შემდეგ მივხვდი - ფურცელზე კომპოზიციურად როგორ ვანაწილებდი 5 ყვავილს, ამის გაგება უნდოდა. ამით ჩემი მონაცემები შეამოწმა და როცა დავხატე, ძალიან მოეწონა. ქალბატონმა ლიამ შემაყვარა ხატვა. მისი განსაკუთრებული მიდგომა რომ არა, ხელოვნების ეს სფერო ალბათ, ასე ძალიან არ დამაინტერესებდა. სტუდიაში მე-5 კლასში შევედი და მიუხედავად იმისა, რომ 4-წლიანი იყო და დიპლომიც ავიღე, ჩემი სურვილით, მაინც სკოლის დამთავრებამდე დავდიოდი.

**- პროფესიით ფილოლოგი ხართ...**

- ძალიან მინდოდა სამხატვროზე ჩამებარებინა, მაგრამ მაშინ გრაფიკული დიზაინის ფაკულტეტი არ არსებობდა. კითხვა მიყვარდა ძალიან და ამიტომ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ფილოლოგიის განხრით ჩავაბარე. ხატვა ჰობად დარჩა. ასევე, დამთავრებული მაქვს ბათუმის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმი.

**- რა არის თქვენი ინტერესის სფერო, რა გიზიდავთ ყველაზე მეტად?**

- სათავგადასავლო, ცხოვრებისეული ნაწარმოებების კითხვა მიყვარს, მაგრამ ერთი პრობლემა მაქვს - სათაურებს და მწერლებს იშვიათად ვიმახსოვრებ. არ მავიწყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებმა ჩემზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ასეთი „შაგრენის ტყავი“ იყო. ზოგადად, ვცდილობ, ნაწარმოებებიდან ის დავიმახსოვრო, რაც ცხოვრებაში გამომადგება. ძალიან მომწონს ცხენები, მათი ფიზიკური აღნაგობა, კუნთები, ჯირითიც მომწონს. მახსოვს, მეგობართან ერთად სოფელში მარტო წავედი, პირველად მაშინ გავაჭენე ცხენი. დედაჩემი რომ მხლებოდა, არ მომცემდა ამის საშუალებას (იცინის). წარმოდგენაც კი არ მქონდა, როგორ უნდა გამეჭენებინა და, რა თქმა უნდა, პირველი მცდელობა მარცხით დავასრულე. ცხენი შესაბამისად აღჭურვილი არ იყო და ადვილად გადმოვვარდი. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ვიჯექი ცხენზე და თუ შანსი მომეცემა, მომავალშიც სიამოვნებით გავაჭენებ.

**- რა სახის ნახატებს ქმნით და რამდენად ხშირად ხატავთ?**

- გაგიკვირდებათ და, სკოლის დამთავრების შემდეგ, რაღაც პერიოდი, ხატვასთან არანაირი შეხება არ მქონია. სტუდენტობისას ჩანახატებიც კი არ გამიკეთებია, დროც არ მქონდა, უფრო სწავლაზე ვიყავი ორიენტირებული. როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, მხოლოდ შემდეგ დავიწყე გრაფიკაში პორტრეტების ხატვა. პეიზაჟების და ნატურმორტების ხატვა არ მიყვარს, შემიძლია ვიღაცის ხათრით დავხატო, მაგრამ ჩემი სურვილით - არა. სიურრეალისტური ნახატები მომწონს, ოღონდ, არა - გაუგებარი. შეიძლება, ნახატი ვიზუალურად მოგეწონოს, მაგრამ ვერ მიხვდე, რისი თქმა სურდა მხატვარს. ისეც ხდება, რომ მხოლოდ ავტორმა იცის, რას ამბობს მისი ნამუშევარი.

**- არ გქონიათ სურვილი, თქვენი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოგეწყოთ?**

- ძალიან ბევრი ნახატი მაქვს, მაგრამ თითქმის ყველა - გაჩუქებული. სამი ნამუშევარი შემომრჩა, რომლებიც ჩემთვის დავხატე და ვერ გავაჩუქებ. მირჩევნია, ჩემი ნახატები საზოგადოებაში იყოს გამოფენილი (იცინის). ვთვლი, რომ საქართველოში ჩემზე ბევრად ნიჭიერი მხატვრები არიან, რომლებსაც არ იცნობენ. როცა ჩავთვლი, რომ ჩემი ნამუშევრები ღირებული და გამორჩეულია, გამოფენაზეც ვიფიქრებ. ქართველები კრიტიკით გამორჩეული ხალხია, ზოგჯერ - გადამეტებულითაც, ამიტომ გამოფენაზე რომ იფიქრო, ბოლომდე უნდა იყო თავდაჯერებული. ვინც ჩემს ნახატებს იცნობს და მოსწონს, ისიც მაკმაყოფილებს. ამ ეტაპზე სხვა ამბიცია არ მაქვს.

**- გრაფიკული ნახატების შესახებ გვითხარით...**

- ორი წელი სარეკლამო კომპანიაში ვმუშაობდი და გრაფიკული დიზაინის პროგრამამ გამიტაცა. თავდაპირველად ბიძაჩემმა მიბიძგა ამ საქმიანობისკენ - სცადე, აუცილებლად გამოგივაო. თურმე რასაც აქამდე ფურცელზე ვხატავდი, შესაძლებელი ყოფილა, კომპიუტერში ილუსტრაციის სახით გადმომეცა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ხელის ნაცვლად „მაუსით“ დავხატავდი. ეს ჩემთვის სასიამოვნო აღმოჩენა იყო. შემდეგ პროგრამის უკეთ




შესწავლა გადავწყვიტე, ბევრი ვიმუშავე და ინტერნეტის საშუალებით, ილუსტრაციების, ასევე, გრაფიკული დიზაინის პროგრამები საკმაოდ კარგად შევისწავლე.

**- პანდემიის დროს თუ იყავით დაკავებული მხატვრობით?**

- სხვათა შორის, კარანტინის პერიოდში სრულად ავითვისე თითქმის ყველა პროგრამა. გრაფიკული დიზაინის პროგრამები სრულფასოვნად შევისწავლე და ილუსტრაციების, ასევე, საკუთარი პერსონაჟების შექმნაც დავიწყე, შემდეგ მათი ამოძრავება მომინდა. სიმართლე გითხრათ, ბევრი არ მიწვალია, 2-დღიანი მუშაობის შემდეგ, 1-წუთიანი მულტფილმი გავაკეთე - „მოწყენილი თევზი“. ცოტა ბოროტი მულტფილმი გამომივიდა, მაგრამ მგონი რეალობაა (იცინის). ბოლო დროს რამდენიმე პერსონაჟი შევქმენი და ახლა მოთხრობის ძიებაში ვარ, რომელიც მათ შეესაბამება. ერთი-ორი შევარჩიე და დიდი სურვილი მაქვს, თუ წიგნად გამოიცემა, ჩემი ილუსტრირებით იყოს.

**- ილუსტრირებულ ანბანზე რას გვეტყვით?**

- სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის ქართული ილუსტრირებული ანბანი შევქმენი, რომელიც უკეთ დამახსოვრების, გააზრების და შესაბამის ასოზე დაწყებული სიტყვების ვიზუალიზაციისთვისაა გათვალისწინებული. ანუ, ყველა ასო, რომელზეც სიტყვა იწყება, სიტყვასთან ერთად იხატება. მაგალითად: ა-ზე - ატამი, ბ-ზე - ბალი, გ-ზე - გალია. ანბანი სასწავლო პროგრამისთვისაც გამოიყენება და სოციალურ ქსელშიც მაქვს ატვირთული. როგორც ვიცი, ძალიან ბევრმა მასწავლებელმა ნახა და მათი მოწონებაც დაიმსახურა. ბავშვებისთვის ვიზუალურადაც სახალისოა. იმედია, გამოადგებათ.

**- ამჟამად რას საქმიანობთ?**

- უკვე სამი წელია „მეგა სკოლაში“ I-II-III-კლასელებს ხელოვნებას ვასწავლი, პარალელურად, კოორდინატორიც ვარ. სწორედ ჩვენი სკოლის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, ჩემი ილუსტრირებით დაიბეჭდა ახალგაზრდა, დამწყები მწერლის დარინა აბულაძის საბავშვო მოთხრობა „ბრინკა“, რომლის პრეზენტაციაც ახლო მომავალში იგეგმება.

**- დისტანციურ სწავლებაზე რა აზრის ხართ?**

- პირველკლასელებისთვის ძალიან რთულია კომპიუტერთან ჯდომა და მით უმეტეს, დისტანციურად რამის გაგება. ალბათ, ბევრი დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ასე მცირეწლოვანი ბავშვი ვერ ისწავლის. შეიძლება, ზოგადი ცოდნა მიიღოს, მაგრამ ძირეული - ვერა. სკოლას ვერ შეცვლის ვერანაირი კომპიუტერი.

**- რა განსხვავებაა კლასში ჩატარებულ გაკვეთილსა და ონლაინგაკვეთილს შორის?**

- საკლასო ოთახში პირდაპირი შეხება გაქვს მოსწავლესთან. როცა შეცდომას უშვებს, მაშინვე ეუბნები, უსწორებ. ონლაინრეჟიმში ამის კეთება ძალიან რთულია. როცა დავალებას მოამზადებს, უნდა გამოგიგზავნოს, შენ უნდა გაუსწორო და უკან გაუგზავნო. ასე ურთიერთობა ჭირს და ძალიან დიდ დროსაც ითხოვს.

**- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

- მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას ვაპირებ. ასევე, გრაფიკული დიზაინის კუთხით მინდა დავსაქმდე. წიგნების ილუსტრირებაც ძალიან მომწონს და ალბათ, ამ მიმართულებით ვიმუშავებ.

# ქუჩის ცეკვების ფინალს ბათუმი უმასპინძლებს

Red Bull Dance Your Style-ს - ქუჩის ცეკვების საერთაშორისო ჩემპიონატის საქართველოს ფინალს წელს ბათუმი უმასპინძლებს. ღონისძიების მხარდამჭერია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. მათი ცნობით, 20 აგვისტოს, 18:00 საათზე, ბულვარში, კოლონადებთან, საქართველოს 16 საუკეთესო მოცეკვავე ერთმანეთს 1-1-ზე ბეთლში დაუპირისპირდება. მათგან მხოლოდ ერთი დაჯილ-



დოვდება Red Bull Dance Your Style-ს მსოფლიო ფინალში მონაწილეობის შესაძლებლობით. ქუჩის ცეკვის ყველაზე გავრცელებული სტილებია: ლოქინგი (locking), ჰიპ-ჰოპი (ე.წ. ჰიპ-ჰოპ ფრისტაილი ან ახალი სტილი), პოპინგი (popping), ჰაუსი (ე.წ. house dance), ვაკინგი (waacking) და ბრეიქინგი (ე.წ. B-Boying or breakdancing).

Red Bull Dance Your Style-ს ბეთლის ფორმატი აქვს - ჟიური მაყურებელია, რომელიც მოულოდნელად გაჟღერებულ ცნობილ მუსიკაზე მოცეკვავის რიტმს, მოძრაობებს, კრეატივსა და ქარიზმას წითელი ან ლურჯი ბარათების აწევით აფასებს და საკუთარ ხმას ასე აფიქსირებს.

საქართველოს ფინალში 16 მოცეკვავე მონაწილეობს - 12 მოცეკვავე ახლახან თბილისში გამართულ Red Bull Dance Your Style-ს საქართველოს შესარჩევ ტურზე, ჟიურიმ აირჩია, რომლის წევრები იყვნენ ჰიპ-ჰოპის ცნობილი მოცეკვავე და რედ ბულის არტისტი მაჯიდ კესაბი და Red Bull Dance Your Style-ს 2021 წლის საქართველოს გამარჯვებული ნინი გოგიჩაიშვილი, 4 მონაწილეს კი „Wild Card“-ი ერგო და შესაბამისად, პირდაპირ ფინალში ჩაერთვება.

„Red Bull Dance Your Style- 2022“-ში წელს 33 ქვეყანა მონაწილეობს. საუკეთესო მოცეკვავეები ერთმანეთს მსოფლიო გამარჯვებულის სტატუსისთვის 10 დეკემბერს, იოჰანესბურგში, სამხრეთ აფრიკაში დაუპირისპირდებიან.

ქუჩის ცეკვების საერთაშორისო ჩემპიონატში საქართველო მეორედ მონაწილეობს. გასულ წელს, კოვიდპანდემიის გამო, Red Bull Dance Your Style-ს მსოფლიო ფინალი გაუქმდა. სწორედ ამიტომ, 2021 და 2022 წლების საქართველოს გამარჯვებულები ერთად გაემგზავრებიან შეჯიბრების მსოფლიო ფინალზე.

აღსანიშნავია, რომ Red Bull Dance Your Style-ში მონაწილეობა და დასწრება უფასოა.

ანკა ჩხიკვაძე

# «საქართველოს ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14



***26 საუკუნეა, ორი ერის შვილები ქართულ მიწაზე ერთად ცხოვრობენ. ისტორიას ქართველებსა და ებრაელებს შორის დაპირისპირების შემთხვევაც არ ახსოვს. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ებრაელებმა აღთქმულ მიწაზე დაბრუნება დაიწყეს, რომელთა შორის დურსუნ თეთრუაშვილის ოჯახიც იყო. ნახევარი საუკუნეა, დურსუნი შვილებთან, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებთან ერთად ისრაელში ცხოვრობს. იგი ადრე ჩოხატაურის რაიონის მკვიდრი იყო. ჩვენ მას აჭარის მთიანეთში, «ზოტიყელობის» დღესასწაულზე შევხვდით***

- თეთრუაშვილების გვარს საქართველოში ებრაელებიც ვატარებთ და ქართველებიც. მართალია, ისრაელში წავედით, მაგრამ რამდენიმე ოჯახი საქართველოში ისევ რჩება.

**- გურიაში დაიბადეთ. საინტერესოა, დურსუნი რატომ დაგარქვეს?**

- როგორც ვიცი, ეს სახელი, მეტწილად, აჭარის რეგიონის მკვიდრებს ჰქვიათ. ჩვენს ოჯახს კარგი ურთიერთობა ჰქონდა პიროვნებასთან, რომელსაც დურსუნი ერქვა.

**- 26 საუკუნეს ითვლის საქართველო-ისრაელის ურთიერთობები. დღევანდელ მდგომარეობაზე რა შეხედულება გაქვთ?**

- ორი ქვეყნის შვილები უფლისგან დალოცვილნი ვართ. დევნა-შევიწროება ებრაელებს არცერთ ეპოქაში არ მოგვკლებია. ფაშისტები საერთოდ ამოწყვეტას გვიპირებდნენ. ადოლფ ჰიტლერს, ებრაელების გარდა, ქართველების მიმართაც მოძალებული სიძულვილი ჰქონდა. სწორედ რომეროვნებით ქართველმა შეძლო მისი ზრახვების დაოკება და ფაშისტური იდეების დასამარება. ებრაელებმა თითქმის საუკუნის წინათ დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის მოძრაობა დავიწყეთ და საწადელს მოგვიანებით მივაღწიეთ. 30 წლის წინ დამოუკიდებლობის გზას დაადგა ჩემი საქართველო. არ გაგიკვირდეთ ამ სიტყვებს რომ წარმოვთქვამ. მე ამ ქვეყანაში დავიბადე, აქ ვეზიარე იმ ჭეშმარიტებებს, რაც ცხოვრების დიდ გზაზე შემდგარ პიროვნებას ესაჭიროება. უკვე 77 წლის ვარ. საქართველო 27 წლისამ დავტოვე. ნებისმიერ ისრაელში მცხოვრებს ეს კითხვა რომ დაუსვათ, ჩემსავით გიპასუხებთ. ჩვენ გვეამაყება, რომ საქართველოში დავიბადეთ, გავიზარდეთ. გვიხარია, რომ 26-საუკუნოვანი ურთიერთობები გრძელდება. მცირერიცხოვანი სახელმწიფოების მკვიდრებს კიდევ მეტი გვმართებს მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში. ერთნაირად უნდა ვეზიაროთ დასავლურ-ევროპულ ცივილიზაციას, თუმცა ეროვნული ადათ-წესები არ უნდა უგულებელვყოთ. საამისო პოტენციალი ორივე ერის წიაღში არის. ქართველებსა და ებრაელებს სახელოვანი მეცნიერები, პოლიტიკოსები, მწერლები, მხატვრები მრავლად გვყავდა. არის ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა 30-40 მილიონს ითვლის და ერთი წარმატებული სპორტსმენი, თუნდაც ოლიმპიური ჩემპიონი არ ჰყავთ. თანამედროვე სიტუაციიდან გამომდინარე ვამბობ, ისრაელი და საქართველო სპორტის ცალკეულ სახეობებში თავიანთ სიტყვას ამბობს. მიხარია, როცა ქართველი მოჭიდავეები, რაგბისტები, კალათბურთელები, მოფარიკავეები, მოჭიდავეები (განსაკუთრებით - ქალები) მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების სახელით მოასპარეზე სპორტსმენებს ტოლს არ უდებენ. იგივე ითქმის ქართულ ხელოვნებაზე.

**- დაიბადეთ და ჭაბუკობის წლები გურიაში გაატარეთ. რა განცდა გეუფლებოდათ, როცა საქართველოს ტოვებდით?**

- ქართული მწერლობა, სახელოვანი კლასიკოსების - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნოდარ დუმბაძის, გურამ ფანჯიკიძის შემოქმედებას კარგად ვიცნობ, ქართული ხატოვანი გამონათქვამებიც ვიცი. ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადიც იქ არისო - საქართველოს, კერძოდ, გურიის დატოვება ძალიან განვიცადე, მაგრამ მამის სურვილს გვერდი ვერ ავუარე. წასვლაზე უარი რომ ვთქვით, იწყინა და ჯავრის გამო ცუდად გახდა, ამიტომ მთელი ოჯახი მის ნებას დავყევით. დედაჩემიც ჩვენს პოზიციაზე იდგა. ნათესაობაც მამის ხათრიდან ვერ გამოვიდა. ეს იყო 1973 წელს. ოჯახი მაშინ 14 წევრს ითვლიდა.

**- აღქმულ მიწაზე მამათქვენმა რამდენი წელი იცოცხლა?**

- იგი 1990 წელს გარდაიცვალა. აქედან რომ წავედით, საქართველოსადმი ნოსტალგია მასაც მოეძალა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა. დედა გურიას, აქაურ მეზობლებს, მეგობრებს როცა გაიხსენებდა, თვალები დაეცრემლებოდა. მართალია, საქართველო ჩვენი მეორე სამშობლო იყო, მაგრამ ჩემთვისა და დედისთვის უპირველესად იყო მიჩნეული. სხვათა შორის, შვილებიც განიცდიდნენ. მამის გარდაცვალების შემდეგ დედამ ორი წელი იცოცხლა.

**- ოჯახზეც გვითხარით...**

- ქორწილი საქართველოში გადავიხადეთ. ეს მიწა რომ დავტოვეთ, მეუღლე ორსულად იყო. პირველი შვილი ისრაელში დაიბადა. მას შემდეგ კიდევ ორი შეგვეძინა. ვარ 8 შვილიშვილის ბაბუა. გვყავს ორი შვილთაშვილი.

**- კურორტ ბახმაროს დირექტორმა, თქვენმა მეგობარმა დავით საჯაიამ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ყოველ ზაფხულს საქართველოში ჩამოდიხართ და გარკვეულ დროს ბახმაროში რჩებით...**

- ყველგან და ყოველთვის ვიტყვი. მე საქართველოს, მის მთა-ბარს, ადამიანებს ბავშვობიდან შევესისხლხორცე და ეს გრძნობა სიცოცხლის ბოლო წუთამდე გამყვება. წუთისოფელში არ მოიძებნება არაფერი, ეს სიყვარული რომ დაჩრდილოს. არ იფიქროთ, ეს ხმამაღალი, ვინმეს გულის მოსაგები სიტყვები იყოს. მცდელობას არ ვაკლებ, რომ ჩამოვიდე ჩემს საქართველოში, მოვინახულო კუთხე-კუნჭული, დავტკბე მეგობრების მოფერებით, ვიყო სუფრასთან, ვისმინო ქართული მელოდიები, თამადის ომახიანი სიტყვები. ეს ყველაფერი საქართველოა და ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

**- საკუთარი ნავსაყუდელი ხომ არ გაგაჩნიათ?**

- წარსულის ძაგება არ მიყვარს, მაგრამ დღევანდელი სიტუაციების თაობაზე ოდნავი წარმოდგენაც რომ მქონოდა, გურულ ეზოს არ გავასხვისებდი. კომუნისტური რეჟიმი ყველაფერს ჩარჩოებში აქცევდა. საბჭოთა კავშირს ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი ჰქონდა - მიმოსვლა გვეკრძალებოდა, მხოლოდ მესამე სახელმწიფოს ჩარევით შეიძლებოდა ჩამოსვლა. ახლა ყოველწლიურად რომ ჩამოვდივარ, ღამის გასათევ ბინას ვქირაობ.

**- ბახმაროს რატომ ირჩევთ?**

- ვინც ამ კურორტის კლიმატი არ იცის, დასკვნას ვერ გააკეთებს. აქაური ჰავა, მყუდროება, ადამიანებთან სიახლოვე ჩემთვის უპირველესია. მამას ბახმაროში ბავშვობიდან დავყავდით.

**- ხომ არ დგება დრო, საკუთარი ჭერი გაიჩინოთ?**

- ჩემი სურვილი არის, მაგრამ ამჯერად შვილებს ვემორჩილები. თუ ისინიც ისურვებენ, მივესალმები.

**- რა სპეციალობით დატოვეთ საქართველო?**

- შრომითი საქმიანობა უკრაინაში დავიწყე. საამქროს ხელოსანი ვიყავი. იქ 1970-1973 წლები დავყავი. ქართველების მსგავსად, უკრაინელებმაც შემაყვარეს თავი.

**- ისრაელში ჩასულს რა სამუშაო შემოგთავაზეს?**

- კონკურსში გამარჯვებულ კომპანიას ჩვენი დასახლებიდან მუშახელის ტრანსპორტირება ევალებოდა. ეს საქმე ვითავე. მუშები ქარხნებში მიმყავდა და საღამოს ბინებში ვაბრუნებდი.

**- სამი წელი იცხოვრეთ და იმუშავეთ უკრაინაში. ახლა ეს ქვეყანა ოკუპანტების შემოტევას იგერიებს...**

- ამ ომს გამარჯვებული არ ეყოლება, სამაგიეროდ, საზოგადოების, შრომისმოყვარე ადამიანების მეხსიერებაში რუსეთი აგრესორის, ოკუპანტის, ძმისმკვლელის სახელს დატოვებს. უკრაინელი ხალხი ასეთი ტანჯვა-წამების ღირსი არ იყო. ვუსურვებ მათ, გაუმკლავდნენ ოკუპანტებს და სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი შეინარჩუნოს.

**- საზოგადოებამ პირველად გიხილათ აჭარის მთიანეთში დავანებულ «შუამთობის» («ზოტიყელობის») დღესასწაულზე. რა იცით მის შესახებ?**

- ებრაელებსაც გვაქვს საღვთო და საერო დღესასწაულები, მაგრამ მთებში ასეთი ზეიმი პირველად ვნახე. გამორჩეულად ჯირითი და მინდორზე გამართული ქართული ჭიდაობა მომეწონა. მადლობა მეგობარ დავით საჯაიას, რომ დღევანდელი დღის მომსწრე გამხადა.

**- მომავალშიც ხომ არ ისურვებდით დასწრებას?**

- ეს უფლის ნებაა. ასაკი მემატება, შესაძლებლობა, სურვილები თანდათან უკან იხევს, თუმცა ბახმაროში ჩამოსვლას ვერ დავიზარებ. ალბათ, აქაც ამოვალ.

**- როგორ აფასებთ ამ დღესასწაულს?**

- ადამიანები ერთმანეთს ეფერებიან. კულტურული და სპორტული ღონისძიებები მრავალ სტუმარს იზიდავს. გავიგე მისი ისტორიაც. გპირდებით, თუ ბახმაროში ჩამოსვლა შევძელი, ისევ დავესწრები.

**- როდემდე აპირებთ დარჩენას?**

- 19 აგვისტოს ფერისცვალებაა, მისდამი მიძღვნილ ღონისძიებებსაც დავესწრები და 20-ში ბახმაროს დავტოვებ. ერთ ღამეს ბათუმში ვიქნები, ხოლო 23 აგვისტოდან ისრაელისკენ გზას დავადგები.

**- საქართველოდან გადასულები კომპაქტურად სახლობთ თუ...**

- ერთ კორპუსში ვართ შესახლებულნი, ხოლო ჩემი ოჯახი ახლაც ერთ სადარბაზოში ცხოვრებას აგრძელებს.

**- გამართული ქართულით საუბრობთ. როგორია თქვენი ოჯახის დამოკიდებულება ქართული ენისადმი?**

- საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის ქართული ენა ტკბილი და მიმზიდველია. საქართველოდან საცხოვრებლად ან სამუშაოდ უცხოეთში გასულს უფლება არ აქვს, დაივიწყოს ენა და სამშობლო. მე საქართველოს და ქართული ენის მოყვარული ვარ, ამას გულწრფელად გეუბნებით, შვილებმა ქართული იციან, შვილიშვილებმაც ისწავლეს, წერენ კიდეც ქართულად. შვილთაშვილები რას იზამენ, ვერ გეტყვით.

**- შვილები თუ სტუმრობენ საქართველოს?**

- შარშან ჩემთან ერთად ჩემი შვილიც იყო. წელსაც მოისურვა წამოსვლა, მაგრამ სამსახურმა შეზღუდა. ვეცდები, გაისად ჩამოვიყვანო.

**- აქ შეძენილ მეგობრებზე რას იტყოდით?**

- ძალიან მოსიყვარულე, კეთილი მეგობრები მყავს. ყველა ცდილობს ყურადღების არეალში მომაქციოს. მათთან ურთიერთობებს ვუფრთხილდები. რამდენიმე მეგობარი ბოლო წლებშიც შევიძინე, რომლებითაც ვამაყობ.

## უკრაინა

შეერთებული შტატებისა და პარტნიორების მიერ უკრაინისთვის მოწოდებული იარაღის რუსეთის ტერიტორიაზე გამოყენება არ შეიძლება, მაგრამ ეს დროებით ოკუპირებულ ყირიმს არ ეხება, - ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ოლექსი რეზნიკოვმა განაცხადა. „თუ დღეს ვსაუბრობთ უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციაზე, სადაც მტერი იმყოფება, ჩვენ არ გვაქვს ასეთი შეზღუდვები“, - აღნიშნა რეზნიკოვმა. შეგახსენებთ: დროებით ოკუპირებულ ყირიმის ტერიტორიაზე, რუსეთის საბრძოლო მასალების საცავსა და რუსულ ავიაბაზაზე აფეთქებები მოხდა. მომხდარზე უკრაინას პასუხისმგებლობა ოფიციალურად არ აუღია.

* * *

ყოველდღე ვხედავთ ინფორმაციას აფეთქებების შესახებ ოკუპანტების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ბოროტების ჩადენისა და უკრაინელების მოკვლის რაც ნაკლები შესაძლებლობა ექნებათ ოკუპანტებს, მით მალე შევძლებთ ამ ომის დასრულებას ჩვენი მიწის გათავისუფლებით, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფეთქებების მიზეზი შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ყველას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს: ოკუპანტების საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, სამეთაურო პუნქტების განადგურება გადაარჩენს უკრაინელი ხალხის სიცოცხლეს. „ყირიმიდან რუსეთში გადასვლის მსურველთა ბოლო დღეებში გაჩენილი რიგები ადასტურებს, რომ ტერორისტული სახელმწიფოს მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას უკვე ესმის ან გრძნობს, რომ ყირიმში მათი ადგილი არ არის“, - დასძინა ზელენსკიმ.

* * *

რუსულმა ძალებმა წუხელ ოდესის ოლქზე რამდენიმე სარაკეტო შეტევა განახორციელეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ოდესის რეგიონალურ სამხედრო ადმინისტრაციის წარმომადგენელ სერჰი ბრაჩუკზე დაყრდნობით ავრცელებს. „ოდესის ოლქს მტერმა რაკეტებით შეუტია. დარტყმის დეტალები ზუსტდება“, - აცხადებს სერჰი ბრაჩუკი.

* * *

რუსებმა კვლავ დაბომბეს ქალაქი მიკოლაივი. მათ იერიში სამოქალაქო ობიექტებზე მიიტანეს. თავდასხმის შედეგად საცხოვრებელი სახლები დაზიანდა. ოკუპანტებმა მიკოლაივში პეტრო მოგილას სახელობის შავი ზღვის ეროვნულ უნივერსიტეტს ორი რაკეტით დაარტყეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია მიკოლაივის მერ ალექსანდრ სენკევიჩზე დაყრდნობით ავრცელებს. „ძლიერი აფეთქებები მიკოლაივში. აფეთქებების ხმა ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ისმის. დარჩით თავშესაფრებში საჰაერო თავდასხმის განგაშის დასრულებამდე“, - აცხადებს სენკევიჩი. მისივე თქმით, რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზა არ არის, იქ მუშაობენ სპეციალისტები: იღებენ აპლიკანტების დოკუმენტებს და გასცემენ დიპლომებს. „ორი რუსული რაკეტა ჩამოფრინდა. ესენი არიან ნამდვილი ტერორისტები, რომლებიც ცინიკურად აგრძელებენ ჩვენი სასწავლო დაწესებულებების განადგურებას“, - აღნიშნა მერმა.

* * *

სრულმასშტაბიანი ომის დაწყებიდან დღემდე რუსებმა უკრაინაში 41 893 დანაშაული ჩაიდინეს, - ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის გენერალური პროკურატურა ავრცელებს. უწყების ცნობით, რეგისტრირებულია 28 591 აგრესიისა და ომის დანაშაული, აქედან 27 493 დანაშაული ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების დარღვევას ეხება, 73 - აგრესიული ომის დაგეგმვას, მომზადებას ან წარმოებას, 28 - ომის პროპაგანდას, 997 კი - სხვა დანაშაულებს. ასევე დაფიქსირდა 13 302 დანაშაული ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ. აქედან 9191 - უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის ხელყოფაა, 1582 - ღალატი, 1876 - კოლაბორაციონისტული საქმიანობა, 129 - აგრესორი სახელმწიფოს დახმარება, 64 - დივერსია.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძე

## ჩინელი ჯარისკაცები – რუსეთის სამხედრო წვრთნებში



ჩინეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ჩინელი ჯარისკაცები რუსეთში ერთობლივ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობისთვის გაემგზავრებიან. მასში ასევე მონაწილეობას მიიღებენ სამხედროები ინდოეთიდან, ბელარუსიდან და ტაჯიკეთიდან. ჩინეთის უწყების თქმით, მათი მონაწილეობა წვრთნებში არ არის დაკავშირებული მიმდინარე საერთაშორისო და რეგიონულ სიტუაციასთან და ის ორმხრივი შეთანხმების ნაწილია.

ჩინეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ მათი განზრახვა მონაწილე ქვეყნების ჯარებთან პრაქტიკული და მეგობრული თანამშრომლობის გაღრმავებაა. აგრეთვე მათი მიზანია, „მონაწილე მხარეებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის დონის ამაღლება და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საფრთხეებზე რეაგირების უნარის გაძლიერება“.

რუსეთში „ვოსტოკის“ წვრთნები 30 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე ჩატარდება. ბოლო ასეთი წვრთნები 2018 წელს გაიმართა, როდესაც ჩინეთმა პირველად მიიღო მასში მონაწილეობა.

ამირან გურიელიძე

# ბათუმიდან – დოჰაში, ანუ რატომ გადაწყვიტა ველომოგზაურმა აჭარიდან კატარში ჩასვლა?

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***მსოფლიო მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას გზის გამგრძელებელმა, ჩვენი კუთხის წარმომადგენელმა ნოდარ ბერიძემ აჭარა დატოვა და ველოსიპედით დიდ მოგზაურობაში გაემგზავრა***

*21 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით, კატარი მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს ფეხბურთში. სწორედ 20 ნოემბერს გეგმავს ჩვენი თანამემამულე დოჰაში ჩასვლას და ჩემპიონატის გახსნაზე დასწრებას. აღსანიშნავია, რომ დოჰას მარშრუტი 14 აგვისტოს დაიწყო გოდერძის უღელტეხილიდან. 16 აგვისტოს ნოდარ ბერიძე ბათუმის ახალი სტადიონიდან დიდ მოგზაურობაში გააცილეს.*

*როგორც გვითხრა, ველოტურის ფარგლებში, რომელიც 99 დღეს მოიცავს, მოგზაური 9 ქვეყანას და 99 ქალაქს მოივლის, სულ 5 999 კილომეტრს დაფარავს. მას გარკვეულ მონაკვეთებზე შეუერთდება სხვადასხვა პროფესიის 1000-ზე მეტი ადამიანი - სპორტსმენი თუ მოყვარული ველომრბოლელი. შეხვედრებს გამართავს ყველა ქალაქში, რაიონსა თუ დაბაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან, ბლოგერებთან, ცნობილ ადამიანებთან, სხვადასხვა დიასპორასთან, მათ შორის, ქართულთან, სპორტულ აქტივთან და ყველა შეხვედრა გამოყენებული იქნება ქართული კულტურის, ტურიზმის წარმოსაჩენად. აუდიტორია 10 მილიონ ადამიანზე მეტს მოიცავს...*

*ნოდარ ბერიძე 2012-2014 წლამდე იყო ჯუმბერ ლეჟავას მენეჯერი, მისი მოგზაურობების ორგანიზატორი, ფინანსური მხარდამჭერიც. 2013 წელს მოაწყვეს საქართველოს ველოტური. ის არ გეგმავდა ველოსიპედზე დაჯდომას, მაგრამ 2014 წელს, როცა მოვლენები დაიწყო უკრაინის აღმოსავლეთში, ჯუმბერ ლეჟავამ შესთავაზა, მოეწყოთ უკრაინის ველოტური - „ყველა - მშვიდობისთვის“. მას მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი და ყველაზე კარგად იცოდა მშვიდობის ფასი. როცა ამ ტურისთვის სამზადისი დაიწყეს, უკრაინიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მათ შორის, იქ მცხოვრები ქართველებისგანაც. 2014 წლის 23 ივლისს ჯუმბერ ლეჟავას დაბადების დღე მიულოცეს, 25-ში მან გაიკეთა სტენტირება გულზე, მაგრამ გარდაიცვალა. ეს იყო დიდი დანაკლისი. როგორ მოქცეულიყვნენ, არ იცოდნენ. აი, მაშინ გადაწყვიტა, მარტო განეხორციელებინა ეს ჩანაფიქრი, თუმცა სათანადო მომზადება არ გააჩნდა. 2014 წლის 24 აგვისტოს კიევიდან აიღო სტარტი, ორთვენახევარში 5000 კილომეტრი გაიარა, თითქმის მთელი უკრაინა. ჰქონდა გულთბილი შეხვედრები საზოგადოებასთან.*

**- არ გაგიჭირდათ, ეს ხომ თქვენი პირველი მოგზაურობა იყო?**

- რა თქმა უნდა, თანაც ძალიან. როცა კიევიდან ლვოვში ჩავედი, ორივე ხელი ისე დამეკრუნჩხა, რომ დილით პირის დაბანაც კი ვერ მოვახერხე, მაგრამ... ბატონი ჯუმბერის სურვილი ბოლომდე უნდა მიმეყვანა, პატივი უნდა მიმეგო მისი ხსოვნისათვის. როცა საქართველოში დავბრუნდი, ძალიან ცნობილი სახეები დამხვდნენ - ჯამლეტ ხუხაშვილი, რომან რურუა, ომარ მხეიძე, სხვები. მერე საქართველოს

იხ. მე-8 გვ.

# ევროკავშირის რეკომენდაციის შესასრულებლად...

***პარლამენტში გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებულ ევროკავშირის რეკომენდაციის შესრულებაზე იმსჯელეს***

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის აღსრულებასთან დაკავშირებით, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გამართეს, აღნიშნულია საქართველოს პარლამენტის მიერ გუშინ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანის განცხადებით, შეხვედრაზე განიხილეს ყველა ის ინიციატივა, რომელსაც გენდერული თანასწორობის საბჭო სამოქალაქო სექტორს რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში სთავაზობს.

„დღეს ვისაუბრეთ ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის მეორე ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება როგორც ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას და სახელმწიფო პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის სტრატეგიულ გრძელვადიან მიდგომას, ასევე გენდერული კვოტირების გაფართოების და მისი უფრო წარმატებით აღსრულების საკითხებს“, - აღნიშნა წილოსანმა.



ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, შეხვედრაზე გამოიკვეთა საინტერესო მიმართულებები, მათ შორის საუბარი იყო საჭიროებაზე, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიმართულებით იყოს გარკვეული ინიციატივები, რომლის მიხედვითაც იდენტიფიცირებული და დათვლილი იქნება უფრო საყურადღებო საკითხები, რაც „ხელს შეუწყობს კანონმდებლებს და პოლიტიკის შემქმნელებს, მტკიცებულებებზე დაფუძნებით გადაწყვეტილებების მიღებაში, ვინაიდან ქალთა მიმართ ძალადობა ან, ზოგადად, გენდერული თანასწორობა ის სფეროა, რომელთან დაკავშირებითაც საზოგადოებაში, ხშირ შემთხვევაში, ჭარბობს მითები და აუცილებელია, რომ დისკუსიებში რაც შეიძლება მეტად იყოს გამოყენებული უფრო ფაქტებზე დაფუძნებული არგუმენტები. დღეს შევთანხმდით, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაინტერესებულ სუბიექტებს კიდევ ექნებათ მოსაზრებების წარმოდგენის საშუალება და როდესაც ყველაფერი გვექნება თავმოყრილი, უკვე სექტემბერში, ვგეგმავთ კონკრეტული ინიციატივების წარდგენას. სავარაუდოდ, ეს არ იქნება ერთიანი დიდი პაკეტი, არამედ იქნება კონკრეტული თემების მიხედვით გადანაწილებული საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც იქნება საკმაოდ საინტერესო და, იმავდროულად, მნიშვნელოვანიც, ანუ შედეგზე ორიენტირებული, რომ გარკვეული მიმართულებებით გვქონდეს კონკრეტული სწრაფი რეზულტატი“, - განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

**ამირან გურიელიძე**

# ხორბლის იმპორტი განახლდა



„ბიზნესპრესნიუსს“ ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ლევან სილაგავამ განუცხადა, რომ რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ბაზარზე დადებითი ტენდენცია იკვეთება. „საქართველოში მოსავლის აღება მალე დამთავრდება. მისი ნაწილი ფერმერებმა დააბინავეს და არ ყიდიან - ტრადიციულად, სეზონის შემდეგ, უკეთეს ფასს ელოდებიან. ნაწილი იყიდეს წისქვილებმა და მიდის გადამუშავება. საუბარია მცირე წისქვილებზე, რომლებიც იგივე ზონაში არიან, სადაც ყანებია, ე. წ. სეზონური წისქვილები კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში. დიდი, ინდუსტრიული წისქვილები კვლავ შეზღუდულად მუშაობენ. ძირითადად ფქვილის იმპორტზე „გადალაგდნენ“, თუმცა რაღაც ნაწილს ხორბალი მაინც შემოაქვს. მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ ხორბლის იმპორტი განახლდა, რადგან მსოფლიოში ხორბლის ბაზარზე სასიკეთო ძვრები დაიწყო“, - განაცხადა ლევან სილაგავამ. მისი თქმით, ყველა დიდი წისქვილკომბინატი კვლავ გაჩერებულია, მხოლოდ საშუალო სიმძლავრეების მქონე წისქვილების მცირე ნაწილი და მცირე წისქვილები ამუშავებენ ადგილობრივ მოსავალს.

**ამირან გურიელიძე**

გამოსათხოვარი

# გარი ქიქავა – საუკეთესო ფეხბურთელი და სამაგალითო პიროვნება

***16 აგვისტოს საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა ბათუმის „დინამოს“ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი გარი ქიქავა. ის დღის 12 საათზე გადაასვენეს ბათუმის დინამოს სტადიონზე. აპლოდისმენტებით გამოემშვიდობნენ სპორტსმენს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართულ ფეხბურთში.***

მისი საფეხბურთო კარიერა 1965 წელს დაიწყო ბათუმის „დინამოში“, ასევე თამაშობდა თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოში“. 1971 წლიდან კვლავ ბათუმის „დინამოს“ დაუბრუნდა და აქვე დაასრულა სათამაშო კარიერა. იყო სამაგალითო ადამიანი, ნიჭიერი პროფესიონალი. ათწლიანი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში მან 180-მდე მატჩი ითამაშა და 36 გოლი გაიტანა. მოგვიანებით, რამდენიმე წელი, ახალი თაობის აღმზრდელად მოგვევლინა, სადაც ასევე დატოვა თავისი კვალი.

გულისტკივილით გააცილა საზოგადოებამ ჭეშმარიტი ბათუმელი, საუკეთესო ფეხბურთელი უკანასკნელ გზაზე, რომელთა შორის იყვნენ მისი მეგობრები, კოლეგები.

**რევაზ ჩელებაძე:**

- 1974 წელს მივედი ბათუმის „დინამოში“, მაშინ 18 წლის ვიყავი და პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ფეხბურთში. ძალიან ბევრი რამ, თუნდაც ბურთის გაჩერება სწორად, საერთოდ, ტექნიკური მხარე, გარი ქიქავასგან შევისწავლე. ის იყო უნიკალური პიროვნება. მსგავსი ფეხბურთელი ბათუმის „დინამოს“ არ ჰყოლია - მოედნის ხედვით, თუ სულით. ის ულამაზესად თამაშობდა ფეხბურთს. ბათუმში რაც გოლი გავიტანე, აქედან 60 პროცენტი მისი გადაცემით მაქვს გატანილი. ის, როგორც პიროვნება, გამორჩეული იყო. ძალიან დამწყვიტა გული მისმა ამ ქვეყნიდან წასვლამ. უფალმა გაანათლოს მისი სული.

**ვალერი მაჩხელიანი, გარი ქიქავას ბავშვობის მეგობარი:**

- 55 წელი ვმეგობრობდით, ერთად გავიზარდეთ, ერთად ვთამაშობდით ფეხბურთს. უაღრესად კეთილი, კულტურული, სუფთა გულის ადამიანი, დიდი ფეხბურთელი იყო... მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია ჩვენთვის, მეგობრებისთვის, სპორტული სამყაროსთვის.

**ვახტანგ (ტუხა) ქორიძე, საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა გაერთიანების პრეზიდენტი:**

- მიჭირს მასზე საუბარი, ის ჩემი მეგობარი კი არა, ძმა იყო. ასეთი წესიერი, ასეთი ლამაზი და დიდი ფეხბურთელი ბათუმს არ ჰყოლია. დაუსრულებლად შემიძლია გელაპარაკოთ მასზე, მის ხასიათზე, მეგობრებისადმი სიყვარულზე. მთელ აჭარას, საქართველოს, ქუთაისს უყვარდა (იქაც ხომ თამაშობდა). რატომ - ასე ადრე? ძალიან დამწყდა გული.

**ასლან ბალაძე, ბათუმის „დინამოს“ გენერალური დირექტორი:**

- ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები მიდიან ქართული სპორტიდან, ჩვენი ქალაქიდან. გარი ქიქავა იყო ის ფეხბურთელი, რომელმაც ეპოქა შექმნა ქართულ ფეხბურთში. როცა ვთამაშობდი, ის იყო ჩემი ხელმძღვანელი, წინამძღოლი, კარგი მასწავლებელი. მადლობა, რომ ასეთი ლამაზი ცხოვრებით იცხოვრა. დღეს, სამწუხაროდ, ასეთ ადამიანს ვემშვიდობებით. მინდა მივუსამძიმრო ოჯახს, ქალაქს, ქართულ ფეხბურთს, იმ გულშემატკივარს, რომელსაც ახსოვს გარი ქიქავა.



**გიორგი ცხოიძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ცურვაში, აჭარის ცურვის ფედერაციის პრეზიდენტი:**

- ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით, ერთ ქუჩაზე. ის იყო არაჩვეულებრივი, ყოველმხრივ მოწესრიგებული. მადლობის გარდა სხვა სიტყვას არ იყენებდა, ყველაფერი საუკეთესო შეისისხლხორცა. ყველა პატივს სცემდა და ყველას უყვარდა როგორც არაჩვეულებრივი სპორტსმენი, როგორც საუკეთესო მამა... სადაც კი იყო, ყველგან ნათელი კვალი დატოვა. დავკარგეთ კიდევ ერთი კარგი ბათუმელი.

**ზურაბ უკლება, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე:**

- მასთან ვმეგობრობდი. სტადიონზე რომ მივდიოდით და ვგულშემატკივრობდით, მარტო ეს რად ღირდა. მატჩის დროს, ზოგჯერ ბურთი რომ მოგორდებოდა და მივაწოდებდით, პატარა ბიჭებისთვის ესეც კი დიდი სიხარული იყო. გარი იყო უაღრესად თავმდაბალი. მას დავით ყიფიანს ვადარებ, რომელიც მოედანზეც და ცხოვრებაშიც ჯენტლმენი იყო. ასეთივე იყო ჩვენი გარი, ვერასდროს გაიგონებდი მისგან ლანძღვა-გინებას. სპორტსმენი პროფესიონალი უნდა იყოს, მაგრამ ამავდროულად - კარგი მოქალაქეც. გარი ასეთი იყო, მან ლამაზი კვალი დატოვა.

უფალმა დაუმკვიდროს ნათელი მის სულს!

**მანანა ძიძიშვილი**

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე
ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2[ა]
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 17/08/22, 21 10 სთ.

# პაემანი, რომელსაც მელომანები წლიდან წლამდე ელოდებიან, მეთხუთმეტედ შედგა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*სამი დღის განმავლობაში ბათუმი შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალს მასპინძლობდა, რომელიც ნამდვილ მუსიკალურ დღესასწაულად იქცა*





ფესტივალის უცვლელი ორგანიზატორი „ისტერნ პრომოუშენი“, ჯაზის მოყვარულებს და არამარტო მათ, შესაძლებლობას აძლევს, მოუსმინონ მსოფლიოში აღიარებულ არტისტებს და მიიღონ მთელი წლის სამყოფი სულიერი საზრდო. მათ, ვისაც ხარისხიანი და გემოვნებიანი მუსიკა უყვარს, ჯაზ-ფესტივალის ბათუმური დღეები არასდროს დაავიწყდება.

- ჯაზი სულის და ემოციის მუსიკაა, რომელიც ყოველ ჯერზე გამოგზაურებს რაღაც ამოუცნობ და სულისშემძვრელად სასიამოვნო სამყაროში. თხუთმეტწლიანი ისტორიის განმავლობაში, მგონი ორი წელი გამოვტოვე ჯაზ-ფესტივალის ბათუმური დღეებიდან, რაც დღემდე ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის. სიტყვებით ვერ გადმოვცემ, როგორი ბედნიერი ვარ. ბათუმს უხდება ჯაზი, ფანკი, სოული, ყველა იმ ჟანრის ერთობლიობა, რომლებსაც ფესტივალი გვთავაზობს, თუმცა ჩემთვის ჯაზი დომინანტია, პრინციპში - ფესტივალისთვისაც. მინდა, მადლობა გადავუხადო „ისტერნ პრომოუშენს“, რომელიც ყოველთვის გვანებივრებს საოცარი მუსიკოს-შემსრულებლებით. მადლობა მათ, რომ ცდილობენ, ჯაზი უფრო და უფრო მეტი ადამიანისათვის გახადონ ახლობელი, გაუჩინონ მასში ბოლომდე ჩაძირვის ინტერესი, - გვითხრა ნინი ბაგრატიონმა.

„ისტერნ პრომოუშენის“ დამფუძნებელმა მიხეილ გიორგაძემ საოცარი მუხტისა და ემოციებისთვის მადლობა გადაუხადა ჯაზ-ფესტივალში მონაწილე არტისტებს, ასევე საზოგადოებას, რომელიც წლიდან წლამდე ელოდება დაუვიწყარ დღეებს ბათუმში.

- დარწმუნებული ვარ, უდიდესი სიამოვნებით ტოვებენ ფესტივალს როგორც მაყურებლები, ასევე მუსიკოსები. მომავალში კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვან პროგრამას ვპირდებით საზოგადოებას, რომ ბათუმის შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი, მათი ყველაზე ლამაზი დღეების ისტორიაში ჩაიწეროს, - აღნიშნა მიხეილ გიორგაძემ.



საქართველოს და ქართველ ხალხს მადლობა გადაუხადა ლეგენდარულ ჯგუფ The Next Movement -ის გიტარისტმა, ჯგუფის არაერთი კომპოზიციის თანაავტორმა ელ მაკქეიმ:

- მადლობა საოცარი საღამოსთვის ქართველ მსმენელს, რომელიც ზუსტად გრძნობს მუსიკას. მალე 75 წლის გავხდები და მსგავსი შეხვედრები, პირველ რიგში კი მუსიკა, მაძლევს ძალას და ენერგიას, დავრჩე შინაგანად ახალგაზრდად და კვლავ გავახარო ჩვენი მსმენელის გული.

აღნიშნული ჯგუფი, შეიძლება ითქვას, წლევანდელი ჯაზ-ფესტივალის ნამდვილი ფოიერვერკი იყო. მან ბათუმის კორტებზე შეკრებილ ათასობით ადამიანს დაუვიწყარი ორი საათი აჩუქა. The Next Movement-ი ის ჯგუფია, რომელიც ერთნაირად აღაფრთოვანებს ყველა ასაკისა და მუსიკალური გემოვნების მსმენელს. სცენიდან მათი საოცარი ენერგია გადამდებია მაყურებლისთვის, რომელიც უკანვე უბრუნებს ენერგიას, რაც ირგვლივ ვულკანურ მუხტს ქმნის.

- თბილისიდან უშუალოდ The Next Movement -ის მოსასმენად ჩამოვედი. მათი თითქმის ყველა კომპოზიცია მიყვარს, შესაბამისად, ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. მადლობა ჯაზ-ფესტივალის ორგანიზატორებს ამ შესაძლებლობისათვის. მიყვარს ფესტივალები, რომელიც ხარისხიან პროდუქტს სთავაზობს საზოგადოებას. ამ მხრივ ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია ჯაზ-ფესტივალს უჭირავს. ასევე, ძალიან მიყვარს ბათუმი, საოცრად მუსიკალური ქალაქი, რომელიც ათასი ფერებით გავსებს და ზღვა, რომელიც შენში ფილტრავს უარყოფით ენერგიას, გავსებს ახალი სიცოცხლით. მოკლედ, ჯაზ-ფესტივალი და ბათუმი, ერთად, უდრის დღესასწაულს, - გვითხრა გიორგი ბაქრაძემ.

ჟაზ-ფესტივალის თავბრუდამხვევი სამი დღე საქსოფონისტმა ქენდი დალფერმა თავის ბენდთან ერთად დახურა. მან უკვე ნაცნობ კომპოზიციებთან ერთად, საზოგადოებას ახალი ალბომიდან, რომელიც სულ მალე იხილავს მზის შუქს, რამდენიმე ნამუშევარი წარუდგინა და მხურვალე ოვაციები დაიმსახურა. ქენდი დალფერმა, რომელიც 52 წლის ასაკში არაჩვეულებრივად გამოიყურება, ორი საათის განმავლობაში საოცარი პერფორმანსის მონაწილე გახადა იქ მყოფი თითოეული ადამიანი.

- ქენდი დალფერი სასწაულმოქმედი არტისტია ჩემთვის, ადამიანი, რომლის მოსმენა და ყურება უდიდესი სიამოვნებაა. გამიმართლა, რომ სცენასთან ვიდექი, ის ჩამოვიდა ჩვენთან და კიდევ უფრო ახლოს შეგვაგრძნობინა ის ცეცხლოვანება, რაც მისი შემოქმედებიდან მოდის. გარდა იმისა, რომ საოცარი შემსრულებელია, ვფიქრობ, კარგი ადამიანიცაა - სცენიდან მოგვიწოდებდა, რომ დავივიწყოთ ყველაფერი ცუდი და მხოლოდ სიყვარულით ავივსოთ გულები. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ის ორი საათი, რაც მას ვუყურებდი და ვუსმენდი, ცუდზე არ მიფიქრია. დიდხანს გამყვება ეს ემოციები, - გვითხრა დიანა დუმბაძემ.

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბენდმა BSU Techno Band offside გახსნა.

ფესტივალმა ერთგულ მსმენელს ერთი წლის შემდეგ ისევ აგვისტოში და ისევ ბათუმში დაუნიშნა პაემანი.

# ბათუმიდან – დოჰაში, ანუ რატომ გადაწყვიტა ველომოგზაურმა აჭარიდან კატარში ჩასვლა?

მე-7 გვერდიდან

პატრიარქს შევხვდი, 15 წუთი ვისაუბრეთ. ყველაფერი მოვუყევი, ვუთხარი, რომ ზაპოროჟიეში დაწყებული იყო ქართული ტაძრის მშენებლობა... მაშინ უწმინდესმა კურთხევა მომცა - ნუ გაჩერდებიო.

**- მანამდე რას საქმიანობდით?**

- წარმატებული ბიზნესმენი ვიყავი სამშენებლო სფეროში, მაგრამ ვფიქრობ, რასაც ახლა ვაკეთებ, ამაზე კარგს ჩემი ქვეყნისთვის ვერაფერს გავაკეთებ... მოგზაურობა მაქვს მხედველობაში.

**- უკრაინული ტურის შემდეგ კიდევ იმოგზაურეთ?**

- 2014 წლიდან გავიარე 28 ქვეყანა - 65 ათას კილომეტრზე მეტი. ვიარე მინუს 38 გრადუს ყინვაშიც და 40 გრადუს სიცხეშიც.

**- ახლაც საკმაოდ დიდი და რთული გზა გიდევთ წინ...**

- კი, გოდერძის უღელტეხილიდან დავიწყე, აჭარა მთლიანად რომ მომევლო. ჩემი გარბენი ეძღვნება პატრიარქის 90 წლისთავს. ქრისტიანობა მთელ საქართველოში (ანდრია პირველწოდებული შემოვიდა დიდაჭარიდან) აჭარიდან შემოვიდა, მეც სიმბოლურად გადავწყვიტე, მაღალმთიანი აჭარიდან დამეწყო.

**- ვიცი, რომ ამ მოგზაურობაში მარტო არ იყავით.**

- დიახ, ერთი შემთხვევით შემოგვიერთდა გზაზე, ორმა ხიჭაურში ამომაკითხა და იქიდან ერთად წამოვედით, ანუ სულ ოთხნი ვიყავით. იყო შეხვედრები ხულოში, შუახევში, ქედაში, ხელვაჩაურში.




**- კარგია, რომ მარტო არ მოგზაურობთ...**

- მე ასეც მინდა ჩემი ტურის გაგრძელება, ანუ გზადაგზა რომ შემომიერთდნენ. ეს იქნება განაცხადი, რომ საქართველო მშვიდობისმოყვარე, სტუმართმოყვარე, სპორტული ქვეყანაა, რომ საქართველოში კარგი ტურისტული საინვესტიციო გარემოა. მინდა, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა შემოგვიერთდეს.

**- რა დევიზით მოგზაურობთ?**

- „მშვიდობა. მეგობრობა. სპორტი“.

**- როგორ ემზადებოდით ამ მნიშვნელოვანი პროექტისთვის?**

- 9 აპრილიდან გვქონდა ყოველკვირეული გასვლები. 30 ივლისს საკმაოდ კარგი ღონისძიება ჩავატარეთ ბათუმში, ტრიატლონში (ცურვა, ველოსპორტი, მძლეოსნობა), რომელიც გვინდა ტრადიციული გავხადოთ.

**- პირველად სად მიეგზავრებით?**

- გავივლი ჩაქვს, ქობულეთს, ოზურგეთს, ჩოხატაურიდან გავაგრძელებ გზას ფოთისკენ...ზუგდიდი, მარტვილი... და ასე შემდეგ... ხაშურიდან გადავალ ნინოწმინდაში, იქიდან სომხეთში. ისევ ნინოწმინდით შემოვალ საქართველოში. ამის შემდეგ დავტოვებ საქართველოს და აზერბაიჯანის გავლით შევუდგები გზას დოჰასკენ.

**- ფიზიკურად, ჯანსაღად და კარგად გრძნობთ თავს?**

- უფლის წყალობით, ყველაფერი კარგადაა.

**- ეს ველოსიპედი სანდოა?**

- ვფიქრობ, თბილისში მომიგვარებენ საქმეს ისე, რომ ეს სადარდებელი არ მქონდეს. ცოტა უკეთესი, რა თქმა უნდა, მინდა, რაც უნდა არემონტო, ძველი მაინც ძველია.

**- გზადაგზა ალბათ შეგხვდებიან...**

- კი, შეტყობინებები მეტ-ნაკლებად დავაგზავნეთ. ამაში გვეხმარებიან ჩვენი ჩოხოსნები, აჭარის საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე ჯეირან ფალავანდიშვილი, სხვები...

**- დღეში საშუალოდ რამდენი კილომეტრის გავლას ვარაუდობთ?**

- 80-100 კილომეტრის - ისეთ რეჟიმში, რომ სადაც გავჩერდები, მოვასწრო შეხვედრები, ასევე, თავის მოწესრიგება, რათა მეორე დღეს გავაგრძელო გზა.

**- დოჰაში სტადიონზე მოხვედრა ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზე, ალბათ, ძალიან საინტერესო და დასამახსოვრებელი ფაქტი იქნება...**

- დოჰაში შესვლამდე მინდა რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი რომ შემომიერთდეს ირანიდან, ერაყიდან, ქუვეითიდან, საუდის არაბეთიდან, ბაჰრეინიდან... ველოსიპედით ხუთი კაცი მაინც რომ შევიდეთ სტადიონზე, ყველა თავისი ქვეყნის დროშით. მე მყავს გუნდი, თუმცა ფინანსებზეა ყველაფერი დამოკიდებული... ვფიქრობ, საქართველოდან სანამ გავალ, ეკიპირებასაც შევიცვლი. ყველაფერი - ველოსიპედი, ეკიპირება, თბილისიდან გასვლამდე დალაგდება.

*ნოდარ ბერიძე 5 სექტემბერს იქნება თბილისში, სადაც აპირებს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრ თეა წულუკიანს შეხვდეს. პროგრამის განხორციელებას გვერდით არაერთი ადამიანი თუ ორგანიზაცია უდგას.*

***P. S.*** *ჯუმბერ ლეჟავა დიდ მოგზაურობაში 1993 წლის 13 აგვისტოს სხვებთან ერთად, სარფიდან მეც გავაცილე, 2003 წლის 3 ნოემბერს კი „წითელ ხიდზე“ დავხვდი - გაზეთი „აჭარა“ ცნობილი ველომრბოლელის მოგზაურობას აშუქებდა. ასევე პერიოდულად მოგაწვდით ინფორმაციას ნოდარ ბერიძის ველოსიპედით გადაადგილებაზე.*

*მშვიდობიან გზას ვუსურვებთ, ველომოგზაურს!*